პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს
ყოველკვირეული ორგანო

№ 28 (38). კვირა, 13 აგვისტო, 1944 წ. ფასი 1 მან.

დღეს ნომერში

- — **დიდი ეპიური თემა** (მოწინავე).
- — **შალვა ამირანაშვილი** — რეპინის მემკვიდრეობა.
- — **შალვა აფხაიძე** — მე აქ ვდარაჯობ შენს წმიდა ნამუსს, შეუჩერებლად დასავლეთისკენ (ლექსები).
- — **დემნა შენგელაია** — ირმის ნახტომი (ქართული ფოლკლორის საკითხები).
- — **იასამანი** — გოლნისი (ლექსი).
- — **ილია ხოშტარია** — მარად იქნება მზის შესადარი (ლექსი).
- — **სერგო კლდიაშვილი** — დარდიანი კაცი (ნოველა).
- — **ნიკოლოზ ჩაჩავა** — ვისთვის ხატავენ ასეთ ილუსტრაციებს?
- — **შალვა კაშმაძე** — ხალხური სიმღერის ენთუზიასტი (ძუკუ ლოლუას გარდაცვალებიდან 20 წლისთავის გამო).
- — **ალექსანდრე ქუთელია** — რუსული კლასიკური ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობა (წერილი მეორე. ლ. ტოლსტოი მსოფლიო ლიტერატურაში).
- — **შალვა გუაჩიძე** — ქართული ესტრადის თეატრი.
- — **თედო სახოკია** — ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი.
- — ს. შანშიაშვილის იგავ-არაკები და ზღაპრები.
- — თათბირი დრამატურგთა სექციის მუშაობის შესახებ.
- — ბიბლიოგრაფია, ქრონიკა და ინფორმაცია.

დიდი ეპიური თემა

ელვისებური სისწრაფით მიიწევს წინ, დასავლეთისაკენ წითელი არმია, აცამტვერებს რა გერმანელ ფაშისტთა მიერ ალმართულ ზღუდეებსა და ციხე-სიმაგრეებს. შეუჩერებლად გრძელდება საბჭოთა ჯარების შეტევა და ყოველი დღე ამ შეტევისა აღბეჭდილია წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებით, აღნიშნულია დედა-ქალაქ მოსკოვის აღმაფრთოვანებელი სალუტებით.

სულგანაბული შეჰყურებს მთელი მოწინავე კაცობრიობა ჩვენი არმიის ამ გასაოცარ წინსვლას. ყველაფრისა და ყოვლის გადამლახველი ეს ძლევამოსილება ჩვენი ჯარისა თავზარს სცემს ვერაგ მტერს. ჩვენი არმია, რომელიც უკვე ამთავრებს ბელორუსიის, უკრაინის, ბალტიისპირა საბჭოთა რესპუბლიკების სრულს განთავისუფლებას ფაშისტური ურდოების ნაშთებისაგან, დღეს უკვე იბრძვის ვარშავის მისადგომებთან, ამსხვრევს პოლონელ ხალხზე დადებულ ხუნდებს. ჩვენი ჯარები უკვე მიადგნენ ფაშისტური მხეცის ბუნაგს, და შორს არ არის ის დღე, როცა ეს ბუნაგიც აღგვილი იქნება პირისაგან მიწისა, როცა ბორკილებაყრილი ევროპა ლაღად და თავისუფლად ამოისუნთქებს.

განუზომელი და უსაზღვროა საბჭოთა ხალხის სიყვარული და მადლობის გრძნობა ამხანაგი **სტალინისადმი,** რომელმაც გამოსჭედა საბჭოთა ხალხის და მისი არმიის მაღალი სულიერი ძლიერება, საბრძოლო ნებისყოფა, მოამზადა უბადლო სარდლობა, შექმნა სწორუპოვარი თანამედროვე სტრატეგია და ტაქტიკა, მისცა ჯარს პირველხარისხოვანი სამხედრო ტექნიკა და ამით უზრუნველყო ისტორიული გამარჯვება შუასაუკუნეების ბნელეთზე—ჰიტლერულ გერმანიაზე.

ამხანაგმა სტალინმა მიმდინარე წლის საპირველმაისო ბრძანებაში აღნიშნა ის დიდი ღვაწლი, რომელიც საბჭოთა ინტელიგენციას მიუძღვის ამ ისტორიულ გამარჯვების მომზადებაში. დიდმა ბელადმა, კერძოდ, მაღალი შეფასება მისცა ხელოვანთა მუშაობას სამამულო ომის წლებში. შეიძლება ომების მთელს ისტორიაში ეს იყო პირველი მაგალითი, როცა მხედართმთავრის ბრძანება, რომელიც ხალხსა და არმიას გზას უჩვენებს გამარჯვებისკენ, მიუთითებს ხელოვნების როლსა და დანიშნულებაზე დიად ბრძოლაში. ფაქტად იქცა, ხორცი შეისხა საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტის მაიაკოვსკის ოცნებამ: კალამი ჭეშმარიტად ხიშტს გაუთანაბრდა. ეს მაღალი დაფასება საბჭოთა მწერლის და ხელოვანის როლისა ახალი ძალით გვაგრძობინებს ჩვენს დიდ ვალს სამშობლოს წინაშე, მისი არმიის წინაშე; ეს აძლიერებს ჩვენს მოვალეობას ვიმუშაოთ გაათკეცებული ენერგიით; ვიმუშაოთ უფრო უკეთ და გულმოდგინეთ, უფრო ნაყოფიერად და თავდაუზოგველად.

ფრიად დიდი, საპასუხისმგებლო შემოქმედებითი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი ლიტერატურისა და ხელოვნების ქართველ ოსტატებს. ის შეუჩერებელი შეტევა, რაც ათასცხრაას ორმოცდაორი წლის ნოემბერში გაჩაღდა და რაც ესოდენი ბრწყინვალე გამარჯვებით თავდება, ლეგენდარულ სტალინგრადთან და ჭალარა კავკასიონის კალთებთან დაიწყო.

ფრიად დიდი და საშიში იყო განსაცდელი, რომლის წინაშე აღმოჩნდა, კერძოდ, ქართველი ხალხი, ვიდრე ომის მსვლელობაში ეს შემობრუნება მოხდებოდა.

„გერმანელებმა მოახერხეს მოსულიყვნენ კავკასიის კალთებამდე. მრისხანე საფრთხე დაემუქრა კავკასიის ხალხებს, ეს იყო საფრთხე მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. გერმანელებს უნდოდათ საბჭოთა ნავთით ესაზრდოვებიათ თავიანთი ყაჩაღური ომი. ისინი ფიქრობდნენ გაეღვივებიათ ეროვნული შუღლი კავკასიის ხალხებს შორის, რომ სოლივით შეჭრილიყვნენ საბჭოთა ხალხის დიად ერთიანობაში და დაერღვიათ მისი პატრიოტული ერთსულოვნობა“, მაგრამ არ გაუმართლდათ ვარაუდი, „წითელმა არმიამ, კავკასიის ხალხებმა შეაჩერეს ჰიტლერული ურდო, მოჰქანცეს თავდაცვითს ბრძოლებში და შემდეგ ძლიერი დარტყმით გასტყორცნეს იგი შორს კავკასიისაგან („პრავდა“).

წითელმა არმიამ გაიარა გზა კავკასიიდან კარპატებამდე. ბრწყინვალე მხედრული და შრომითი გმირობით არის მოფენილი ეს გზა.

ქართველი მწერლის, ქართველი ხელოვანის უწმინდესი მოწოდებაა ასახოს ომის ეს დიადი ეტაპი —ბრძოლა კავკასიისათვის, გვიჩვენოს ქართველი ხალხის ვაჟკაცობა და ქედმოუხრელობა კავკასიის დაცვისათვის გაჩაღებულ ისტორიულ ბრძოლებში, გვიჩვენოს მოძმე ხალხების, პირველყოვლისა, რუსი ხალხის მხარდამხარ თუ რა თავდადებით, რა ერთსულოვნებით ასრულებდა ქართველი ხალხი, ამხანაგ ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით,— კავკასიის მისადგომებთან ვერაგი მტრის განადგურების სტალინურ გეგმას.

ჭეშმარიტად დიდია ის საქმე, რაც ქართველმა ხალხმა კავკასიის მისადგომებთან გერმანელი ურდოების დასამარცხებლად გააკეთა. ის უნდა აღიბეჭდოს ღირსეულად მხატვრულ ლიტერატურასა, ფერწერასა, მუსიკასა და ქანდაკებაში, ხელოვნების ყოველმა დარგმა უნდა უკვდავჰყოს ქართველი ხალხის ეს ღვაწლი დიდი საბჭოთა სამშობლოს წინაშე.

მუშაობა კავკასიის დაცვის ეპიური თემის მხატვრული ხორცშესხმისათვის უკვე დაიწყო. ამ თემაზე დაწერილ მრავალ ლექსს გარდა, ჩვენ უკვე გვაქვს პირველი პოემები, პირველი მოთხრობები, პირველი დრამატიული ნაწარმოებები, პირველი სურათები და სიმფონიები. ეს ცხადჰყოფს, რომ ჩვენი მწერლებისა და ხელოვანების მხატვრული აზრი დაიძრა ამ დიადი თემისაკენ. რასაკვირველია, ჯერ ნაადრევია ამ პირველ მხატვრულ ნაწარმოებთა ყოველმხრივი შეფასება, მაგრამ ამ თავითვე შეიძლება ითქვას, რომ მწერლებს და ხელოვნების ოსტატებს დასჭირდებათ უფრო ინტენსიური მუშაობა ამ დიდი თემის ორგანიული შეთვისებისათვის, სქემატიურობისა და ზერელობის დაძლევისათვის ადამიანთა და მოვლენათა დახატვის დროს.

საჭირო და აუცილებელი იქნება უფრო ღრმა შესწავლა სინამდვილისა და იმ ადამიანებისა, რომლებიც სჭედდნენ გამარჯვებას. მწერალმა უნდა მონახოს უფრო ზუსტი სიტყვები, მხატვარმა—უფრო მკვეთრი ფერები, მუსიკოსმა უფრო გულჩამწვდომი ჰანგები საბჭოთა ადამიანის იმ კეთილშობილების, იმ მორალური ძლიერების გამოსახატად, რაც ასეთი სიდიადით გამომჟღავნდა სამამულო ომის, კერძოდ, კავკასიის დაცვის დაუვიწყარ დღეებში.

კავკასიის დაცვის ეპოპეის გადატანა მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში უაღრესად რთული ამოცანაა. ამ ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ შეუპოვარი ძიებით, თავდაუზოგველი შემოქმედებითი შრომით, ნიჭისა, ცოდნისა და მხურვალე გრძნობის შეთავსებით, რადგან ჭეშმარიტი ხელოვნება ვერ ეგუება გულგრილობასა და თვითკმაყოფილებას.

საბჭოთა ხალხის და მისი არმიის გამარჯვებებით შთაგონებულნი მწერლები და ხელოვნების მოღვაწენი მოწოდებულნი არიან სრულყოფილად, ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოებებით ასახონ სიდიადე და სიძლიერე ჩვენი ხალხისა და ჩვენი არმიისა, რომელიც განუხრელად მიდის წინ მტერზე საბოლოოდ გამარჯვების უმაღლეს მწვერვალისაკენ.

საბჭოთა ლატვიისა და ესტონეთის ანსამბლები ბალტიისპირეთის ფრონტზე

საბჭოთა ლატვიისა და საბჭოთა ესტონეთის სახელმწიფო სამხატვრო ანსამბლების არტისტთა ბრიგადები გაემგზავრნენ ბალტიისპირეთის ფრონტებზე ჯარის ნაწილებისა და განთავისუფლებული ქალაქების მოსახლეობის მხატვრული მომსახურებისათვის. მალე ამავე მიზნით ფრონტზე გაემგზავრება ლიტვის მხატვრული ანსამბლის არტისტთა ბრიგადა. ესტონურ ბრიგადას მეთაურობს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ანტ. ლაუტერი. ეს ანსამბლები 1942 წელს შეიქმნა, მათში გაერთიანებული არიან სასცენო ხელოვნების ის ოსტატები, რომელნიც სამშობლოდან ევაკუირებული იყვნენ. ამ კოლექტივებში შედის ხუთასამდე მომღერალი, კომპოზიტორი, ბალეტისა და დრამის მსახიობი. სამამულო ომის წლებში მათ დიდი ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს. ისინი გასტროლებს მართავდნენ ნაციონალურ სამხედრო ნაწილებში, აგრეთვე ფრონტზე მოქმედ ჯარშიც. გარდა ამისა ანსამბლებმა იმოგზაურეს და კონცერტები მოაწყვეს ციმბირის, ურალის, შუა აზიის და ამიერ-კავკასიის ქალაქებში.

შალვა ამირანაშვილი

რეპინის მემკვიდრეობა

ი. ე. რეპინის მხატვრული მემკვიდრეობა თვალსაჩინო მოვლენას წარმოადგენს მე-19 ს-ის მეორე ნახევრის რუსეთის მხატვრობის ისტორიაში. მისი შემოქმედება იდეური შინაარსით და ფერწერის ოსტატობით იმდენად დიდია, რომ იგი უდავოდ საპატიო ადგილს იჭერს მსოფლიო ხელოვნების დიდ წარმომადგენელთა შორის.

რეპინის შემოქმედება აღმოცენდა და განვითარდა საკუთრივ რუსულ ნიადაგზე, უცხო ქვეყნების მხატვრული კულტურის გავლენის გარეშე. 70-80-იანი წლების რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი და ესთეტიკური იდეების ზეგავლენით რეპინი ცდილობს დაამყაროს თავისი შემოქმედება ეროვნულ ნიადაგზე, შეარჩიოს ნაციონალური თემები, ხელოვნება მთლიანად დაუმორჩილოს საზოგადოებრივ ინტერესებს. სავსებით გასაგებია ის, რომ იგი მხატვრული შემოქმედების განვითარების პირველ პერიოდში უგულებელჰყოფს იმდროის ევროპის ხელოვანთა გატაცებას, ვერ ამჩნევს ისეთი ოსტატების შემოქმედებას, როგორნიც იყვნენ მილე, კურბე, მანე და „იმპრესიონისტები“. მხოლოდ უფრო გვიან, თავისი ოსტატობის მომწიფების პერიოდში, იგი უკვე სხვა თვალით აფასებდა ევროპულ მხატვრულ კულტურას, ძველსა და ახალს.

უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ რეპინი განსაკუთრებული ენერგიით და საქმისადმი დიდი სიყვარულით შეუდგა ეროვნული თემების მხატვრული განსახიერების ამოცანის გადაჭრას. რუსეთის ხელოვნებისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო ერთგვარი ფსიქოლოგიზმი, რომელიც ასე მძაფრად არის მოცემული არა მარტო მხატვრულ ლიტერატურაში, არამედ ფერწერაშიც. საკმარისია გავიხსენოთ ფედოტოვი, პეროვი, სურიკოვი და რეპინი. თემის ფსიქოლოგიური ანალიზი, ცალკეული პერსონაჟის, გამოჩენილ პირთა პორტრეტების გასაოცარი გადმოცემა ახასიათებს რეპინს შემოქმედებას განვითარების მთელს მანძილზე. დაკვირვების დიდი უნარი და შინაგანი ფსიქიკის გაგება, ადამიანის სულიერი ცხოვრების არსის ჩვენება და მხატვრული ტექნიკის მაღალი დონე ერთს მხატვრულ მთლიანობად არის მოცემული რეპინის შემოქმედებაში. რეპინი ერთნაირი სიღრმით და სისავსით გადმოგვცემს როგორც ადამიანის სულს, ისე გარეგნობას. ჩვენ ვერ დავეთანხმებით კრიტიკოსთა შეხედულებას, თითქოს ამ ორ პრინციპს შორის რეპინის შემოქმედებაში იყოს რაღაც მერყეობა და შინაგანი მთლიანობის დარღვევა. ამ მთლიანობას განსაკუთრებული სიცხადით ადასტურებს რეპინის სურათი „ივანე მრისხანე“ (1885 წ.). ამ სურათში ფსიქოლოგიური დრამა, რომელიც მოხდა 1581 წელს, გადმოცემულია უდიდესი ექსპრესიით. მამა, რომელმაც საშინელი რისხვისა და თავდავიწყების დროს თავისი ხელით მოჰკლა საკუთარი ვაჟი, განუსაზღვრელი მწუხარებით და შიშით ჩადენილი ბოროტების წინაშე, ეხვევა ულონოდ დაშვებულ, მომაკვდავ შვილს. სისხლით შეღებილია მსხვერპლის პირისახე და ტანისამოსი... ფსიქოლოგიური დრამის ამსახველი ოსტატი დიდ ყურადღებას აქცევს სურათის ზოგად კოლორიტს, მომქმედ პირთა ჩაცმულობის აფერადებას, განსაკუთრებით ხალიჩას.

ეს სურათი ეხება ისტორიულ თემატიკას, რაც რუსული ხელოვნებისათვის უჩვეულო მოვლენა არ იყო. როგორც ცნობილია, ისტორიული თემატიკა სურიკოვის შემოქმედებაში წარმოადგენდა მთავარ მოვლენას. შედარებითი ანალიზი ორივე დიდი ოსტატის შემოქმედებისა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ სურიკოვის შემოქმედებაში ისტორიულ თემას ახასიათებს მონუმენტალობა, ერთგვარი სტატიურობა და რომანტიული ელფერი, ხოლო რეპინის ისტორიული თემა ყოველთვის ასახავს ვიწროდ შემოფარგლულ ერთს მომენტს, რომელიც გასაოცარია თავისი რეალიზმით, ახლოა ჩვენთვის, მოკლებულია რომანტიზმს.

აღნიშნული ტენდენცია გარკვეულად ჩანს მეორე დიდ ნაწარმოებში: „ზაპოროჟიელები ადგენენ ოსმალეთის სულთანისათვის გასაგზავნ წერილს“. რეპინმა დიდი მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარა და ბოლოს გამოსახა აღნიშნული თემა ორ ვარიანტად. ორივე სურათი შესრულებულია გასაოცარი ოსტატობით: მხატვრული მხარე სურათისა, ზოგადი კომპოზიცია, კოლორიტი, განსაკუთრებით კი ზაპოროჟიელების ტიპები—სიცოცხლით სავსენი, ამაყნი, დამცინავნი და შეუპოვარნი—გადმოცემული არიან დაუვიწყარი ექსპრესიით.

ი. ე. რეპინს სამართლიანად სთვლიან რუსულ მხატვრობაში რეალიზმისა და ნაციონალური მიმდინარეობის მამამთავრად. რეპინის შემოქმედება ამეტყველებულია მებრძოლი პროტესტანტული იდეებით. რეპინის მოღვაწეობის დაწყების პერიოდში რუსეთის ხალხს ჰქონდა არა მარტო დიდი მხატვრული ლიტერატურა, გამომხატველი მებრძოლი პროტესტანტულ-რევოლუციური იდეებისა, არამედ ასეთივე შინაარსის. უაღრესად პროგრესიული კრიტიკა და ესთეტიკური მოძღვრება. ცნობილმა კრიტიკოსმა სტასოვმა პირველად აღიმაღლა ხმა აკადემიური ხელოვნების „მარადიული იდეალების“ წინააღმდეგ და წამოაყენა ნაციონალური რეალიზმის თვალსაზრისი.

ამას მოჰყვა მეტად საგულისხმო ფაქტი, 1863 წელს ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფმა, კრამსკოის მეთაურობით, უარი განაცხადა აკადემიის საბჭოს მიერ საკონკურსოდ გამოცხადებული მითოლოგიური სიუჟეტის შესრულებაზე და დემონსტრაციულად მიატოვა აკადემია. ამ ჯგუფმა დააარსა მხატვრული ასოციაცია, რომელიც შემდეგ შესცვალა „მოძრავ მხატვრულ გამოფენათა საზოგადოებამ“. რეპინი იდეურად თანდათან დაუახლოვდა ამ ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფს. მალე მან მოწინავე ადგილიც დაიჭირა. პირველი დიდი სურათი, რომელიც გამოხატავს მხატვრის იდეურ პოზიციას და იმავე დროს მკვეთრად ამჟღავნებს მის ოსტატობას და ფერწერის წესების დაუფლებას, იყო „ბურლაკები ვოლგაზე“. მხატვარმა დიდი მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარა, შეისწავლა კონკრეტული ტიპები, იმოგზაურა რამდენჯერმე და მოგვცა სურათი, რომელიც, სტასოვის მართებული შენიშვნის თანახმად, იყო პირველი „ღრმად შემაძრწუნებელი სურათი რუსი ხალხის ცხოვრებიდან“. „ბურლაკები“ გადმოგვცემენ რუსი ხალხის განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფს, რომლის ყოფა გასაოცარი რეალიზმითაა მოცემული მხატვრის მიერ.

რეპინი, როგორც მოწინავე ადამიანი, გრძნობდა და ხედავდა რუსი ხალხის მძიმე მდგომარეობას ცარიზმის ბატონობის პერიოდში. მან დიდი ადგილი დაუთმო იმ თემების ასახვას, სადაც მოცემულია ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მომენტები. ჯერ კიდევ 1877 წ. პარიზიდან ახლად დაბრუნებული მხატვარი სწერს ესკიზს „პატიმარი მიჰყავთ“. 1882 წ. მან შექმნა მეტად ძლიერი მხატვრული ნაწარმოები „აღსარების წინ“. 1889 წ. მან დაამთავრა სურათი „პროპაგანდისტი დაპატიმრება“. განსაკუთრებით აღსანიშნავია მხატვრული თვალსაზრისით სურათი „არ ელოდნენ“, რომლის პირველი იდეა 1883 წელს ჩაისახა, სურათის იდეური მხარე, შინაარსის სიღრმე, ფსიქოლოგიზმი განცდათა გადმოცემაში სავსებით შეეფარდება თემის კომპოზიციურ განლაგებას, ზოგად კოლორიტს და ოსტატობის მაღალ დონეს.

* * *

აღსანიშნავია, რომ რეპინის შემოქმედებას თითქმის ყოველთვის ახასიათებს მაღალი მხატვრული დონე. ამიტომ ძნელია მისი შემოქმედების ზუსტი გაყოფა რამდენიმე ეტაპად. მოწაფეობისა და ძიების პერიოდი მალე შესცვალა მეტად ხანგრძლივმა მომწიფებისა და ძლიერების ხანამ. მხატვრის ოსტატობის მწვერვალს წარმოადგენენ პორტრეტების ესკიზები, რომლებიც განკუთვნილი იყო დიდი სურათის „სახელმწიფო საბჭოს საზეიმო სხდომისათვის“. აღნიშნული სერია პორტრეტებისა წარმოადგენს ახალ სიტყვას პორტრეტული ხელოვნების დარგში, ზოგადი ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით. მკვეთრი ფსიქოლოგიური დახასიათება, ადამიანის შინაგანი არსის სრული ასახვა, წერის ფართო მანერა, კოლორიტისა და ფერების კონტრასტების შეფარდება წარუხოცელ შთაბეჭდილებას სტოვებს. ეს იყო უკანასკნელი სიტყვა ოსტატისა, შეჯამება იმ განსაკვიფრებელი ნიჭისა, განვლილი გამოცდილებისა, რომელიც ახასიათებდა დიდ ოსტატს ი. ე. რეპინს.

რეპინმა ღრმა კვალი დასტოვა მხატვრობის ისტორიაში. მან ხაზი გაუსვა მხატვრული ნაწარმოების შინაარსის მნიშვნელობას, გაავითარა ფსიქოლოგიზმი, რომელიც რუსეთის მხატვრული კულტურისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო, და იმავე დროს მტკიცე საფუძველი შეუქმნა რეალიზმს, სათანადო დონეზე აიყვანა ფერწერის ოსტატობა და ტექნიკური წესები.

ი. ე. რეპინის შემოქმედება უდიდესი ისტორიული მოვლენა იყო ფერწერის ისტორიაში. მხატვარი მტკიცედ ეყრდნობოდა შობლიურ ნიადაგს, მისი შემოქმედება სუნთქავდა რუსეთის სიცოცხლით და სიდიადით. რეპინი იყო თავისი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტი. რეპინის მხატვრული მემკვიდრეობა უძვირფასესი განძია ჩვენი ქვეყნის კულტურის ისტორიაში. რეპინის მძაფრი რეალიზმი და პრინციპული სიახლე უაღრესად აქტუალური და მახლობელია თანამედროვე საბჭოთა მხატვრებისათვის, რომელნიც სოციალისტური რეალიზმის მეთოდით ჰქმნიან ახალ ხელოვნებას.

დიდი სამამულო ომის კინომატიანე

კინემატოგრაფიის საქმეთა საკავშირო კომიტეტმა სავანგებო თათბირი გამართა კინოფირზე დიდი სამამულო ომის აღბეჭდის საკითხებზე. გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, კომიტეტმა დაადგინა ქრონიკალური კინო ფონდის შესაქმნელად წარმოებული მუშაობის ხელმძღვანელობა დაეკისროს დოკუმენტალური ფილმების ცენტრალურ კინოსტუდიას. რეჟისორ ე. შუბის ჯგუფს წინადადება მიეცა მიმდინარე წლის დამლევამდე დაამთავროს სამამულო ომის წლებში დაგროვილი კინოდოკუმენტების განხილვა და სისტემატიზაცია. თათბირმა დასახა ღონისძიებები კინომატიანის ხანგრძლივი დაცვისა და შენახვისათვის.

„ჯურღაის ფარი“ მოსკოვის კინო-თეატრებში

ამჟამად მოსკოვის მთავარი კინო-თეატრების ეკრანზე მიდის თბილისის კინოსტუდიის მიერ დადგმული ქართული კინო-კონცერტი „ჯურღაის ფარი“. მოსკოვიდან მიღებული ცნობით „ჯურღაის ფარს“ დიდი წარმატება აქვს მოსკოველ მაყურებელთა შორის. ფილმში, რომელიც დადგმულია რეჟისორების ს. დოლიძისა და დ. რონდელის მიერ, მონაწილეობენ საქართველოს ოპერის, ბალეტისა და ესტრადის საუკეთესო ძალები — დ. ბადრიძე, დ. გამრეკელი, ვ. ჭაბუკიანი, ქეთო ჯაფარიძე, ვ. გრიგორაშვილი და სხვები. ქართულ ხალხურ მუსიკასთან ერთად ფილმში წარმოდგენილია ზაქარია ფალიაშვილის, მელიტონ ბალანჩივაძის, დიმიტრი არაყიშვილის, გრ. კილაძის, ა. ბალანჩივაძის, ვ. მურადელის და ვ. სოლოვიოვ-სედოის მუსიკალური ნაწარმოებები. ფილმი გადაღებულია გ. ლეონიძის, ს. დოლიძისა და დ. რონდელის სცენარის მიხედვით, ოპერატორების კ. კუზნეცოვისა და ა. პოლიკევიჩის მიერ. ფილმში ოსტატურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან სამამულო ომის გმირული სინამდვილე და საქართველოს გმირული წარსული.

შალვა აფხაიძე

მე აქ ვდარაჯობ შენს წმინდა ნამუსს

ამ მთების იქით კიდევ ცხრა მთაა,
ცხრა მთის გადაღმა ჩემი სოფელი,
ამ სოფლის მწვანე ბორცვზე შენ ცხოვრობ
ჩემი ფიქრიდან განუყოფელი.

მანდ ახლა უკვე ყაყაჩოს ცეცხლი
სწვავს, ანაკვერცხლებს მშობლიურ მდელოს
და შენს ოქროს თმებს, შენ რომ მაგონებ
ღრუბლებში მქროლავ წმინდა ანგელოსს.

სადა ხარ! იქნებ ბაღში ხილს კრეფავ
და მისი ნამი გისველებს უბეს.
ხან გხედავ ჩაის ზვირთებთან მებრძოლს,
ხან ყვავილებთან ჩუმ მოსაუბრეს.

ვიგონებ გზისპირს... წყაროს სათავეს —
ალბათ ის ახლა დაცალიერდა.
და შენც იმ ადგილს ისე ჩაუვლი,
ვით შემდგომის ღრუბლების სევდა.

ვიგონებ ჩვენს ცაცხვს და ზედ დამხობილს
ვარსკვლავთ ლალანით ალვსილსა ღამეს,
და ვფიქრობ მაინც იმ სიყვარულის,
ნანატრო, ჩვენში ხომ დარჩა რამე.

დარჩა... და სისხლის ამ ნიაღვარში
მისი სიმღერა უფრორე მიყვარს.
ჩამომიქროლებს აქაც ტკბილი ხმა
და ცხელი ფრთებით ცაში აიყვანს.

დარჩა, ძვირფასო და შენს ოცნებას,
ჩვენს სოფლის ზღუდეს ვიცავ აქედან,
მე აქ ვდარაჯობ შენს წმინდა ნამუსს
და კვამლის ბუღში შუქის სვეტს ვხედავ.

ვხედავ, მოჰყვება შუქს თან სიმღერა
ჩვენ რომ დაგვდულრა, ტრფობით დაგვდაღა,
ის ბედნიერი ჩვენი ცხოვრება
უფრო გაშლილი მშფოთვარე ბაღად.

შეუჩერებლად დასავლეთისკენ

ველარ ხედავენ ბაღების ჩრდილებს,
ბაღები ყველგან გადამწვარია.
ველარ ხედავენ მშვიდ მდინარეებს,
მათში წყლის ნაცვლად სისხლის ღვარია.

ვერ პოულობენ თავიანთ სახლებს,
მათ ნაცვლად ყველგან მხოლოდ ფერფლია.
მიდიან ბრძოლით და გადაბუგულ
მშობლიურ მიწას უფრო ეტრფიან.

ეძებენ ძმებს და გულის ყვავილებს,
მაგრამ იმათგან ბევრი აღარ ჩანს.
ხარობენ მაინც, რომ ეკეცებათ
მათ თავზე ნაცნობ წმინდა ცის ფარჩა.

შიშს დასცინიან, სიცოცხლის ტრფობით
იცავენ ქვეყნის მღვიძარ ღირსებას.
მათი ტანკების ღრმა ნაკვალევი
მხეცთა დაღვრილი სისხლით ივსება.

მიდიან, მიდიან, მიდიან!
შეუჩერებლად დასავლეთისკენ.
ლახვარს ლახვარზე ურტყამენ წუნკლებს
დიდი ველები გადაიარეს,
მაგრამ ნაბიჯი ხმაურს არ უკლებს.

არ ისვენებენ უსაზღვრო გზაზე,
თუმცა ხშირად სწვავთ სიცხე თაკარა.

ხოცავენ დამპყრობთ და გაჰკივიან:
„დასცხეთ, გაჟლიტეთ, კიდევ არ კმარა“.

მიდიან, თითქოს გზებიც თანდათან
მათ ახალ-ახალ რაზმებს ისხამენ,
და ქვემეხების გუგუნს შეხარის
მათი ფეხის ხმა მტკიცე, მრისხანე.

შლიან მტრის ზღუდეს ბელადის სიბრძნით
და სტალინგრადის რისხვის მახვილით,
ცის თაღებს ამსხვრევს მათი ძლევის ხმა,
როგორც არწივთა გადაძახილი.

ჭრიან ღამითაც, როცა ძლივსღა ჭრთის
მთვარე, მიმქრალი და გარუჯული.
ღამით დაბურულ გზას უკაშკაშებთ
მზეებრ მხურვალე ბელადის გული.

მიდიან ბრძოლით წინ, სადაც სრული
გამარჯვებათა დიდება ელით.
და ისევ ავსებს სივრცეს ხმაურით
მათი ნაბიჯი დაუცხრომელი.

დივიზიების მხარდამხარ ბრძოლით
გზას არხევს მშფოთვარ დროშების ალი.
მიდიან წინ და მიუძღვით ბრძენი
გამარჯვებათა მთავარსარდალი.

საზღვარგარეთ

ინგლისური პრესა „ცისარტყელას“ შესახებ

ინგლისში გამოქვეყნდა ვანდა ვასილევსკაიას რომანი „ცისარტყელა“, თარგმნილი ედიტ ბონის მიერ. ინგლისური პრესა დიდი ყურადღებით შეხვდა გამოჩენილი მწერალი ქალის ამ ახალ ნაწარმოებს. ამ მხრივ, ფრიად დამახასიათებელია რალფ შტრაუსის რეცენზია, რომელიც მოთავსებული იყო „სანდეი ტაიმსში“:

„ამ რომანის კითხვა — სწერს რეცენზენტი — მწვავე ტკივილებს გაგრძნობინებს... მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ მოსწყდეთ მას და განაგრძობთ კითხვას იმიტომ, რომ უკრაინის სოფლის ეს ისტორია, ეს ამბავი სოფლისა, რომელიც დროებით გერმანელთა ხელში იყო, დაწერილია ისეთი დიდი გრძნობით, გლეხების პორტრეტები გამოკვეთილია ისეთი ხელოვნებით, რომ წიგნი თქვენ მთლიანად გიზიდავთ“.

„მანჩესტერ გარდიენის“ მიმომხილველი ჰაროლდ ბრიგჰაუზი სწერს: „ვ. ვასილევსკაიას „ცისარტყელა“ აღსავსეა მხურვალე, მწვავე სიძულვილით გერმანელებისადმი. მთავარი ღირსება ამ წიგნისა — მის სიმართლეშია. „ცისარტყელა“ წარმოგვიდგება, როგორც ფაქტიური დოკუმენტი. არცერთი წიგნი, რომელიც აქამდე მე ომის შესახებ წამიკითხავს, არ ახდენდა ისეთ ძლიერ შთაბეჭდილებას, როგორსაც „ცისარტყელა“.

„ბირმინგამ მეილი“ აღნიშნავს:

„ადვილი არ არის წარმოვიდგინოთ ის პირობები ცხოვრებისა, რომელიც დაამყარეს გერმანელებმა მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე.

სიმხეცე და საშინელებანი, რომელთაც გერმანელები სჩადიოდნენ — აჭარბებს ყოველგვარ ფანტაზიას. ამ ბოროტმოქმედებათა აღწერა დრო და დრო გვხვდება ოფიციალურ დოკუმენტებში, რომელსაც საბჭოთა მთავრობა აქვეყნებს. მაგრამ იმისათვის, რომ იგრძნოთ მთელი საშინელება აღნიშნული ბოროტმოქმედებებისა, უნდა წაიკითხოთ „ცისარტყელა“, რომანი, რომელსაც 1943 წელს სტალინური პრემია მიენიჭა. თვითეული სტრიქონი ამ წიგნისა აღბეჭდილია ცოცხალი სიმართლით და სინამდვილით“.

„რუსეთი ომში“

ინგლისში გამოსცეს ი. ერენბურგის სამხედრო ნარკვევების წიგნი „რუსეთი ომში“. წიგნს წამძღვარებული აქვს საბჭოთა მკითხველისათვის საკმაოდ ცნობილი ინგლისელი მწერლის და დრამატურგის ჯონ პრისტლის წინასიტყვაობა. ამ წიგნის შესახებ გაზეთი „ჩერჩ ოფ ინგლენდ ნიუსპეიპერი“ სწერს:

„ახალხან ინგლისში გამოიცა წიგნი ილია ერენბურგისა. ამ მწერლის ცხოველი და რეალისტური კორესპონდენციები მისი სამშობლოს დიადი ბრძოლების შესახებ იბეჭდება ინგლისის გაზეთებში და მკითხველთა ყურადღებას იქცევს. ეს არის სამხედრო ჟურნალისტიკის საუკეთესო ნიმუში, რომელიც დაწერილია ყველაზე ნათელი ფერადებით. წიგნის თემაა — რუსეთის ბრძოლა ჰიტლერიზმის წინააღმდეგ. ერენბურგმა შესძლო რუსული კალმისათვის მიეცა რუსული ხმლის სიმახვილე. ასე გაჩნდა ნაწარმოები, რომელსაც უნდა იცნობდეს ინგლისის ხალხი, ნაწარმოები, რომელიც აღსავსეა დიდი შემეცნებითი ღირებულებით და ტრაგიკული მომხიბვლელობით“.

„ხემპშაირ ქრონიკლი“ სწერს:

„რუსეთი ომში“ არის საუცხოვო წერილების კრებული, რომელნიც აგვიწერენ და ნათელს ჰფენენ რუსეთის წარმატებას გაცოფებული მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ ინგლისელი ხალხი კარგად გაეცნო ილია ერენბურგის მწერლობას — მის წერილებს პრესაში და მის რომანს „პარიზის დაცემას“. წიგნში „რუსეთი ომში“ ერენბურგი ბრწყინვალე რეპორტაჟით აღწევს ომის პირველი წლის ფაქტიურ ასახვას“.

„პანჩის“ (ლონდონი) რეცენზენტი აცხადებს:

„ილია ერენბურგს რომ ასე სასტიკად სძულს გერმანელი დამპყრობლები — ეს სავსებით ბუნებრივია. მან ინახულა ქალაქები და სოფლები, საიდანაც გაძევებული იქნენ გერმანელი ოკუპანტები, მან მოისმინა ცოცხლად გადარჩენილთა ნაამბობი და ბოლოს მან გადაათვალიერა გერმანელების დღიურები, წერილები და ხელთ ჩაგდებული ბრძანებები. ყოველივე ეს მან ბრწყინვალედ გამოიყენა წიგნისათვის „რუსეთი ომში“.

საბჭოთა არქიტექტურის გამოფენა მექსიკაში

ქ. მექსიკოს ხელოვნების სასახლეში გაიხსნა საბჭოთა არქიტექტურისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელიც მექსიკელ არქიტექტორთა საზოგადოებამ მოაწყო. გამოფენაზე წარმოდგენილია ძველი რუსული ხუროთმოძღვრების და თანამედროვე საბჭოთა არქიტექტურის მრავალი ფოტოსურათი, ექსპონირებულია აგრეთვე მრავალი ფოტოდოკუმენტი, რომელიც ასახავს ჰიტლერელი ვანდალების მიერ ისტორიული ძეგლების ნგრევა-განადგურებას დროებით ოკუპირებულ და ამჟამად უკვე განთავისუფლებულ საბჭოთა ტერიტორიებზე. გამოფენა გახსნა მექსიკელი არქიტექტორების საზოგადოების თავმჯდომარემ კარლოს ობრეგონ სანტოსილიამ, რომელმაც გამოსთქვა აღტაცება საბჭოთა არქიტექტორების მოღვაწეობითა და საბჭოთა ხელოვნების მუშაკთა მიერ მოპოვებულ დიდ მიღწევათა გამო. გამოფენის გახსნის წინ სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის ელჩი მექსიკაში ამხ. უმანსკი. გამოფენა დიდი წარმატებით სარგებლობს.

საბჭოთა კინოსურათი „ისინი იცავენ სამშობლოს“ ჩინეთში

ქ. ჩუნცინში, საბჭოთა კავშირის საელჩოში, მოხდა საბჭოთა ცნობილი ფილმის, „ისინი იცავენ სამშობლოს“ საჯარო ჩვენება. ფილმის დემონსტრაციას დაესწრნენ ჩინეთის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები და აგრეთვე ჩინური პრესის წარმომადგენლები. სურათმა მაყურებელზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ივლისის დამლევს დაიწყო ამ ფილმის დემონსტრაცია ჩინეთის მთავარ ქალაქების კინოთეატრებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემნა შენგელაია

ირმის ნახტომი

ქართული ფოლკლორის საკითხები

ძველთა რწმენით, მიწიერი ცხოვრება ასლი იყო ასტრალური ცხოვრებისა: ცის უსაზღვრო ლაჟვარდში ყოველი ღმერთის, ყოველი ადამიანის ვარსკვლავი ცოცხლად ციმციმებდა. ღმერთთა მთიებნი მუდმივნი იყვნენ, მოკვდავთა — ქრობადნი. ცას რომ ვარსკვლავი მოსწყდებოდა, ხალხი ამბობდა — ვიღაც მოკვდაო. ამიტომაც აფიქრებდა მას ასე ღრმად უსასრულობა ზესკნელისა და იდუმალნი ქცევანი მნათობელთა. ამიტომაც ამოხდა ნიკო ბარათაშვილს ასე შთაგონებულად:

„ჰე ცაო, ცაო, ხატება შენი
ჯერ კიდევ გულზე მაქვს დაჩნეული!
აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ,
მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფვიან,
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ
და ჰაერშივე გაიბნევიან“.

ცისიერის ჭვრეტა ადამიანის გულში მუდამ ყრუ მშფოთვარებასა და კრძალვას აღძრავდა. მას იტაცებდა იგი და თანაც ეშინოდა. ძველმა აღმოსავლეთმა ეს შიშნარევი გატაცება ეტანას მოხდენილი თქმულებით გამოხატა.

— გინდა, ცად აგამაღლებ? — უთხრა ეტანას ერთხელ არწივმა.

იმასაც ეს უნდოდა. მაშინვე დასთანხმდა, მაგრამ მარტო ამას როდი დასჯერდა. კაცის გული ხარბია და გაუძღომელი. ეტანაც კაცი იყო: იგი იმდენად გაკადნიერდა, რომ ნეტარება თვით სიყვარულის ქალღმერთ იშტართან მოიწადინა.

არწივმა მოკვდავი უკვდავთ სამყოფელოში აიტაცა.

ცისიერის დიდებულებისა და თვით ღმერთის ანუს საყდრის ხილვისას ეტანა შიშმა შეიპყრო, მაგრამ სივრცეთა ლაღი შვილი გზას მაინც შეუდრეკლად განაგრძობდა:

„—ნუ გეშინია, მეგობარო, აიღე თავი,
გულს ნუ გაიტეხ, მალე ავალთ ღვთის სამყოფელში!
მომაყრდენ მკერდსა მკერდი შენი იმედიანად
და მკლავნი შენნი გადააწყვე ჩემს ვრცელსა მხრებსა,
მო, მეგობარო, ტანით ტანსა ამეკარ მძლავრად.
...ისევ იფრინეს და არწივმა უთხრა მიწიერს:
— აბა დახედე, მეგობარო, ზღვასა და მიწას!
ძირს დაიხედა ეტანამ და თრთოლვით ამოხდა:
— მთის ოდენაა მიწა ჩვენი და ზღვა გუბეა.
ისევ იფრინეს, ისევ უთხრა არწივმა კაცსა:
— კიდევ დახედე, მეგობარო, რასა ჰგავს მიწა?
— ვიწრო სარტყელად შემოჰკვრია ზღვა დედამიწას.
ისევ იფრინეს, ისევ ჰკითხა ფრინველმა კაცსა:
— ერთიც დახედე, მეგობარო, რასა ჰგავს მიწა?
— ისე დაკნინდა ოკეანე, რომ რუს ჰგავს სარწყავს“.

ცად აფრენილმა მეგობრებმა გზა მაინც განაგრძეს, მაგრამ იშტარის სახლი ჯერ კიდევ შორს იყო, — იგი მესამე სკნელში მდებარეობდა. სივრცეთა დაუსაბამობით შეშინებულ ეტანას დემონივით შეჩენილი ფრთოსანი მაინც არ ასვენებდა, მაცდუნებლად აქეზებდა:

„—ცოტაც კიდევ და, მეგობარო, თვითონ იშტართან,
უნაზეს ღმერთთან შენ განცხრები აღზევებული!“

მიწა ბოსტნის ტოლაც ძლივს მოსჩანდა, ხოლო ზღვა — ეზოს ოდენი.

ეტანა შედრკა.

ერთი კაცის გასაგისს დამიხედეთ! ძირს იყო, ცად ყოფნა უნდოდა, ნატვრა აუსრულდა და ახლა ისევ მიწა ეზიდებოდა. წუთის, მხოლოდ ერთი წუთის დაეჭვება იყო საკმაო, რომ ორთავენი ცას მოსხლეტოდნენ და კვლავ მიწას დანარცხებოდნენ...

ბაბილონური ღმერთის ანუს სამყოფელი ქვესკნელი იყო, ხოლო ესაი—ზესკნელი. როგორც სჩანს, არწივს ეტანა ეას საბრძანებელი ზესკნელისაკენ ანუს საბრძანებლის ქვესკნელის გზით გაუტაცნია, მაგრამ მესამე სკნელამდე, სადაც იშტარი ბინადრობდა, მაინც ვერ მიუღწევიათ.

განა ასევე არ მაღლდებიან ჩვენი ზღაპრის გმირები ჯადოსნური ფრინველის ფასკუნჯის მეოხებით, რომელიც შემდგომ თანდათან არწივად იქცა, მერე უბრალო შინაურ მამლად და სულ ბოლოს ისე დაჩიავდა, რომ ზოგან ხანდალეულ ჭინჭრაქას სახით გვევლინება? თუ მოვიგონებთ, რომ ქართული უშტარ-დალი მონადირე დიანას ღვთაებრივ ფუნქციებსაც ითვისებდა და მას რეშაია საპატრონოდ „ნადირთ მწყემსი“ თეთრი ირემი ჰყავდა მიჩენილი, მაშინ იშტართან ერთად ეს ირემიც ზესკნელ-ქვესკნელის დამაკავშირებელი ღვთაებრივი ცხოველი ყოფილა. მართლაც, ჩვენს ზღაპარ-თქმულებებში კაცს ცად ასვლა რომ დასჭირდებოდა, დახმარებისათვის ირმისათვის (სვანურ „თეთრ შუნისათვის“) უნდა მიემართნა. ისევე, როგორც ფასკუნჯი არ იყო ჩვეულებრივი ფრინველი, არც ეს ირემი იყო ჩვეულებრივი ნადირი. ნიშნად ღვთაებრიობისა, მას რქები ოქროსი ჰქონდა, ფეხი მთის წვერზე ედგა, ხოლო თავით ცას შებჯენოდა და ამგვარად ზესკნელ-ქვესკნელს შორის დამაკავშირებელ ხიდად გადებულიყო:

მუქთახორა მთის წვერზე ავიდა.

— კაცო, აქ რამ ამოგიყვანა? — შეეკითხა ირემი.

— ღვთის ნახვა მინდა, — მიუგო კაცმა.

— რახან აგრეა, მაშ მოდი და ჩემი რქები კიბედ გამოგადგება.

მუქთახორა ირემს რქებში ჩაეჭიდა და, ტოტიდან ტოტზე მაღლა რომ ადიოდა, ზეციდან ხმა მოესმა:

— მიწიერო, აქ სად მოდიხარ?

— შენთან, ყოვლად მოწყალევ! — იყო პასუხი კაცისა (ზღაპარი „მუქთახორა“).

ყოველ ღამეს, ლურჯად მოჭიქულ ზესკნელში ვარსკვლავები იდუმალი ფუსფუსით უჩუმრად რომ ატკაცუნდებიან, ცისიერიდან ცისიერამდე მქრქალი ნაცრეცი გამოჩნდება ხოლმე. ქართველი ხალხი მას „დევის ნამუხლარს“, უფრო ხშირად-კი „ირმის ნახტომს“ უწოდებს (ზოგნი ამ სახელით „თეთრი დათვის“ ვარსკვლავედსაც მოიხსენიებენ).

ქართული პაგანისტური ოქროს რქიანი ირმის ეს „დანაჭლიკი“ მთელ ცარგვალში ისეთი დიდებულებით განიზიდება ხოლმე, რომ მიწიდან ავარდნილ ასტრალურ ცხოველს თითქოს მთელი ზესკნელი მართლაც თქრიალით გადაერბინოს და მეორე მხარეს კვლავ მიწაზე დაშვებულიყოს. სვანი მონადირე ბეთქილ დალის ნადირს თეთრ შუნს ამ გზით დაედევნა.

„ბაილ, ბეთქილ საბრალო, ბეთქილ საცოდავო! — ბაილ ილბა, ილბა ბაილ, ბაილ მულახ მუჟალი (სოფლებია დ. შ.) იკრიბება, — შესდგომია ლენტეხურ (სოფელია დ. შ.) ფერხულს, — გამომხტარა თეთრი შუნი, — გაურბენია ბეთქის ლაჯებში, — იგი ბეთქის წერა იქნება! — ბეთქილ ბანდულებს იბანდავს, — მისდევს მის ნაკვალევს...

...ლენტეხის ფერხული დაშლილა,—ბეთქილ მის კვალს მიჰყვება, — შავი ეშმაკი შუნად ქცეულა, — ბეთქილ თეთრ შუნს მისდევს... („ბეთქილ“).

ნადირთ ღვთაების ამ საკრამენტულ ცხოველს თურმე მთიან რაჭის ფოლკლორშიც ჰქონია ბინა დადებული. მას „ნადირთ მწყემსი“ ეწოდება და მოძმეთაგან მხოლოდ იმითი განირჩევა, რომ სვანური თეთრი შუნივით ისიც თეთრია, ანდა თეთრ-ნიშნიანი, „წილიანი“, როგორც რაჭველები ამბობენ ხოლმე. იგი ჩვენ ნებაუნებლიედ დიანას ირემს მოგვაგონებს, ნადირობის უმწიკლო ქალღმერთი მას ცალი ხელით თავს ძლივს უჭერს, ხოლო მეორე ხელით ისარს კაპარჭიდან იღებს. იგი ჩვენ ურუკის დიდებულ მეფის გილგამეშის დაუძინებელ მტერს მოგვაგონებს. გილგამეშმა იგი მეძავი ქალის სიყვარულით წარწყმიდა, მოაშინაურა და სამეგობროდ გადაიბირა. „ნადირთ მწყემსის“ მოკვლა მონადირისაგან არასგზით არ იქნებოდა. მადლიერმა დალმა სვან მონადირეს ერთხელ ჯილდოდ ცხრა ჯიხვი გამოუყვანა. ერთი მათგანი ოქროს რქიანი იყო. მონადირემ მოსაკლავად სწორედ ის ამოიჩემა, თოფი (Sic) დაუმიზნა, მაგრამ ჯიხვმა ტყვია არ გაიკარა, მონადირეს შუბლში შეუბრუნა. ასე დაუჯდა მონადირეს სიცოცხლის ფასად კადნიერება ღვთაებრივ ჯიხვისადმი. ასეთსავე ოქროს ჩხიან შუნს მიჰყვა კვალდაკვალ ოსური ეპოსის ამირანი. მიუხედავად იმისა, რომ ნაყარი რქები მხოლოდ ხვადი ირმის სამკაულია, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ იგი ფური (შუნი) იყო, რადგან იგი ბოლოს ღვიძლი და აღმოჩნდა ამირანისა.

ჩვენი ამირანიც ასეთსავე ღვთაებრივ ნადირს მიჰყოლია კვალდაკვალ:

„სანადიროდ წამოვიდნენ
ამირან და ძმანი მისნი,
გადიარეს ცხრანი მთანი,
მეათენი ალგეთისნი.
მინდორს კვალი გაუკვლიეს,
დანაჭლიკი ეშმაკისი.
მთას ირემი წამოუხტათ,
ოქრო იყო რქანი მისნი.
უცხოს მთაზე კოშკი ნახეს,
ანაგები ბროლის ქვისი,
გაუარეს გარეგურგვლად,
ვერ იპოვეს კარი მისი,
სადაც რომ მზემ პირი მოჰკრა, —
ამირანმა მუხლი მგლისი,
კოშკმა პირი იქ ვაალო,
იქ შეება კარი მისი.
კოშკში ლომი წოლილიყო,
ვამპრევ არვინ იყო მისი“.

ეს ლომი ცამცუმი იყო.

სჩანს, ამირანი ცაზე დაჩნეულ „ეშმაკის დანაჭლიკს“ — ირმის ნაკვალევს მიჰყოლია და ბროლის ქვით ანაგებ კოშკის კედლებს ზედ მისდგომია.

მთაზე დაყრდნობილი ბროლის კოშკი ხომ იგივე ცისიერია, ცარგვალია, რომელსაც ამირანმა „გარეგურგვლად“ ამაოდ უარა და კარი მაინც ვერ იპოვა. ბოლოს მგლის მუხლი სწორედ იმ ადგილას ჰკრა, „სადაც რომ მზემ პირი მოჰკრა“. და ბროლის კოშკში — ზესკნელში — ამგვარად შეიჭრა. ჰგავს, ამირანი მზის ღვთაებასთან, სვანურ მზის ღმერთ ბარბოლთან ყოფილა მჭიდრო დამოკიდებულებაში. ისმის საკითხი: ხომ არ არის ამ სიუჟეტურ პასაჟში გადმოცემული ნიშანდობლივი მომენტი, როდესაც „ზოდია ლომისა ივლისის 23-ს მიითუალავს მზესა?“ (საბას ლექსიკონი, იხ. „ზოდია“). თუ ასეა, მაშინ არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ სიტყვანი „ცა“ და „ცამ-ცუმი“ ასე საგულისხმიეროდ ემსგავსებიან ერთმანეთს ფონეტიკურად. თუ „ბარ“ სვანური „ბარ-ბოლის“ (ბარ-ბარ) ფუძეა, მაშინ ქართული „ცა“ ასეთივე ფუძე-სიტყვა უნდა იყოს ცამ-ცუმისათვის და ორივე მზეს უნდა ნიშნავდეს. რა თქმა უნდა, „ამირანიანს“ თავისი წარმართული კონცეპცია მკაფიოდ ვერ დაუცავს, მაგრამ იგი არც-თუ სრულიად არის მიჩქმალული. შემდგომ დანალექ ისტორიულ ფენათა ქვეშ ეს ხალასი აზრი არქეტიპისა მაინც მძლავრად მჩქეფარებს და მისი ნაწილობრივი აღდგენა შესაძლო ხდება.

„ამირანიანის“ პირველადი სიუჟეტი ორ დიდ ქარტეხილს გაუცამტვერებია: ერთხელ ორთოდოქსალურ ქრისტიანობას, ხოლო მეორედ ფეოდალურ-კურტუაზიული რომანის „ამირან-დარეჯანიანის“ მძლავრ ზეგავლენას, რომელიც უფრო ეხმიანებოდა საშუალო საუკუნის ადამიანის ფსიქიკას.

ოქროსრქიანი ირემი ნამდვილად წარმართული ცხოველი რომ არის, ამას შავი ეშმაკის თეთრ შუნად ქცევაც ადასტურებს, რომელსაც სვანი მონადირე ისეთ მწვერვალზე აუყვანია, საიდანაც ვერავინ ვერ დაბრუნდება. (ხომ არ არის „ეთერიანის“ ეშმაკი ამავე შუნის სახე?). „ამირანიანის“ ქართველი მთქმელიც ამ ირმის (თეთრი შუნის) ნაფეხურს ეშმაკის დანაჭლიკს უწოდებს.

რატომ იქცა თეთრი შუნი ეშმაკად, ხოლო მისი ნაფეხური ეშმაკის დანაჭლიკად? იმიტომ, რომ ოქროს რქიანი ირემი წარმართული ნადირია, იგი ქართული პაგანიზმის ღვთაებრივი ცხოველია. „ამირანის ლექსის“ ქრისტიან მთქმელს კარგად ესმოდა, რომ ეს ირემი მისთვის, როგორც ქრისტეს მორწმუნისათვის, „ეშმაკეული“ იყო, ბილწი იყო და „სულის წარმწყმედი“.

ჩვენს ასტრონომიულ რძიან გზას ანუ „ეშმაკის დანაჭლიკს“ ქართულად ირმის ნახტომი იმიტომ ეწოდებოდა, რომ ქართველ ხალხს კარგად ესმოდა წარმართული აზრი ამ სახელისა: აკი ამიტომ უცვალა მას სახელი ახალ რწმენაზედ დამდგარმა ხალხმა და ქრისტიანული „იერუსალიმის გზა“ უწოდა. მაგრამ ოქროს რქებიანი ირემი მაინც ურყევად მდგარა ქართველი ხალხის შეგნებაში და „მსოფლიო ბორცვის“ წვერიდან ფეხი ვერაფერს ვერ მოუცვლევინებია.

არქეოლოგიურ განათხართა შორის ყურადღებას იქცევენ ბრინჯაოს ძველთაძველი ბალთები, რომლებზედაც რქანაყარი, ფანტასტიური ირმები არიან ორნამენტირებული. ბ. კუფტინი მათ ელინისტურ ხანას მიაკუთვნებს, მაგრამ, სანამ ეს ირემი ჯავაირიჩთა სანუკვარ მოტივად იქცეოდა, როგორც ჰგავს, დიდი დროის მანძილი გაუვლია ჯერ კიდევ ზეპირსიტყვაობაში.

ღვთაებრივ შარავანდედით მოსილ მონადირისაგან ამ ღვთაებრივვე ირმის დევნა მისი მითოლოგიური აზრის დაკარგვის გამო შემდგომ მონადირის უბრალო ფათერაკიან თავგადასავლად ქცეულა.

ნადირობა ძველად ისეთივე მისტერიის ხასიათის საქმიანობა ყოფილა, როგორც მჭედლობა. მჭედლების ურთიერთობა მონადირე ამირანთან შემთხვევითი მოვლენა რომ არ არის, ამას სვანური ხალხური ლექსის ერთი ხანაც ადასტურებს:

— „ტყე რა იქნა? — მჭედელმა მოჭრა.
— მჭედელი რა იქნა?—მჭედელი მოკვდა“.

თუ მოვიგონებთ, რომ ერკინ ურარტულად ცასა ნიშნავდა, ხოლო ერკირ მიწას და ორთავ საწყისი ზესკნელ-ქვესკნელისა რკინის მეშვეობით იყო გაიგივებული, მაშინ მჭედელ-მონადირის მითოლოგიურ მნიშვნელობასაც ერთგვარი ნათელი ეფინება: ერთს წიაღისეულთან ჰქონდა კავშირი, ხოლო მეორეს ცისიერთან (დალი) და ამ ორ საწყისის შემცვლელი გმირის, ამირანისა და სულკალმახ სირა მჭედლის სახით ქვესკნელის ანთროპომორფულად გამოხატვა, უაღრეს გააზრებასა ჰპოვებს.

რაჭველ მონადირეს ივანე ქვაცხისელს ერთ შემოდგომის პირას კლდეზე ჯიხვებისათვის მოუკრავს თვალი. ასვლა რომ ვერ მოუხერხებია, თოვლის ვუნდები დაუკუმშავს, წყალში დაუსველებია და კლდეზე საფეხურებად მიუკრავს. საღამოთი ვუნდები პიტალოს მიჰყინვია, და ივანე მაღლა ასულა. საყურადღებოა, რომ სულკალმახიც თითქმის მსგავსადვე ასულა დალის კლდეზე, ოღონდ მას კლდეში რკინის პალოები ჩაურჭვია საფეხურებად. საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ „ამირანიანის“ რაჭულ ვერსიით სულკალმახსირა მჭედელს რკინის პალოები თვითონვე გაუჭედია და მით ზესკნელ-ქვესკნელს შორის კავშირი დაუმყარებია.

კლდის წვერზე ასულ ივანე ქვაცხისელს ჯიხვები სულ გაუწყვეტია, იმ ღამეს იქ დარჩენილა, მაგრამ ერთი რამ ვერ უვარაუდნია. დილით მზეს კლდეზე აკრული თოვლის საფეხურები გაულხვია და მონადირეს ძირს ჩამოსვლა ვეღარ მოუხერხებია. ბოლოს, სხვა რომ ვერა ულონია რა, ამდგარა და კლდიდან გადმოჩეხილა. ასევე ტრაგიკულად დაიღუპნენ სვანი მონადირეები ბეთქილ, ჩორლა და ქალა. ასეთივე ბედი ეწია ხევსურ მონადირეს სინდაურისძესაც:

„აღარ შორდება ნისლები მაღლის ჭიუხის წვერსაო,
ჭიუხის კუჭულაზედა სინდაურისძე წევსაო,
ხმელ კუჭულაზე ნაჯდომსა ნიავ ვერ ამლის მტვერსაო.
ჯიხვნ უჩივიან წარაფსა, წარაფნ კალამის წვერსაო:
„ჩვენ ცარმსახედ სარტყელზე ფეხი მწკლიანი წევსაო,
სინდაურისძე შაგხვდების, უფერს გაყრიდა დღესაო“
ინატრის სინდაურაი ნახოცის ჩამამთვლელსაო,
თექვსმეტის შიგით ამრჩევსა, კლდის თბეზე ჩამამწვდელსაო“.

სინდაურისძე დაღუპულა და იმ ჭიუხისათვის, საიდანაც იგი გადმოხაფრულა „სინდაურის მაღალი“ უწოდებიათ.

კლდის წვერზე ადამიანის შერჩენის მოტივი, როგორც ვხედავთ, ქართულ თქმულებებისათვის ორგანიულია და არსაიდან იგი მოტანილი არა სჩანს. იგი განმეორებაა საბრალო ეტანას მოტივისა, იმ განსხვავებით, რომ ეტანა ჯიხვის მაგიერ არწივს გაუტაცნია. ეს მოტივი წმინდა აღმოსავლურია და ძველი ჰელადა თავისი მომხიბლავი პრომეთეს თქმულებით დიდად არის დავალებული აღმოსავლეთისაგან, საიდანაც მას ბევრი რამ შეუთვისებია და თავისი დიდებული გენიის მეოხებით განუჭვრეტია, განუვითარებია და კაცობრიობისათვის შეუნახავს.

ეს წარმტაცი მოტივი, როგორც ჰგავს, ქართველ ხალხს ახალ სამკვიდრებელზე თავისი პირველ საცხოვრისიდან მოუტანია და ამიტომაც მის უცილობელ საკუთრებას შეადგენს.

მხატვართა შემოქმედებითი ოთხშაბათები

მოსკოვის მხატვართა კავშირის გრაფიკოსთა სექცია უკვე ორი თვეა ყოველ კვირაში სისტემატურად აწყობს შემოქმედებითს „ოთხშაბათებს“, რომელნიც უმთავრესად მოსკოვის გრაფიკოსების ნამუშევრებისადმია მიძღვნილი.

ახლახან მხატვარმა ბ. დეხტერევმა დამსწრეთ უჩვენა თავისი ახალი ნამუშევარი—ს. გოლუბევის წიგნის „ბაგრატიონის“ ილუსტრაციები, მის მიერვე დონბასში ამას წინათ შესრულებული ჩანახატები და ესკიზები სპექტაკლისათვის „თავადის ქალი მერი“.

დიდი ინტერესი გამოიწვია რუსული ხალხური ზღაპრების ნიჭიერი ილიუსტრატორის, ახლახან გარდაცვლილ მხატვარ კონსტ. კუზნეცოვის ნამუშევრებმა. ერთ-ერთი ოთხშაბათი მიეძღვნა თანამედროვე ამერიკელ გრაფიკოსთა იმ ნახატებს, რომლებიც მათ საბჭოთა მხატვრებს გამოუგზავნეს საჩუქრად...

ამერიკელი მხატვრების სურათების განხილვამ გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. გრაფიკოსთა სექციამ დაადგინა საპასუხოდ ამერიკელ მხატვრებს გაუგზავნოს საბჭოთა გრაფიკოსების სურათები იმ მიზნით, რომ მათ ეს სურათები გააცნონ საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთელ მეგობრებს.

გრაფიკოსთა სექცია დიდ ყურადღებას აქცევს აგრეთვე მხატვრული მემკვიდრეობის შესწავლას.



აეროსტატები. ნახ. ელ. ახვლედიანისა.

ილია ხოშტარია

მარად იქნება მზის შესადარი

ჩემო სამშობლოვ, მუდამ ელავდი,
როგორც ლაღლაჟა ვარსკვლავთ კრებული,
მოსკოვის ბჭესთან იდგა ბელადი
დიად ბრძოლებზე ჩაფიქრებული.

შფოთავდნენ ვოლგა, დნეპრი და დონი
ისროდნენ ტალღას, არ ჰყრიდნენ ფარხმალს
რომ დაელეწა ყველა ურდონი
გამარჯვებისთვის ამტყდარ ქარიშხალს.

გადაუხდია დიდი ომები,
წარსულის ვალში არც დღეს დარჩება,
ვით ერთი კაცი მილიონები
აღსდგნენ მოსკოვის გადასარჩენად.

არ დაუკარგავს ქალაქს იერი,
მარად იქნება მზის შესადარი,
კრემლში ბელადის ნებისმიერი,
იდგა სიმშვიდე გასაოცარი.

და გვწამდა ყველას, რომ გამარჯვებას
ჩვენ გვარგუნებდა საქმე მართალი,
ხალხის ფიქრებს და ხალხის ოცნებას
გზას უკაფავდა დიდი სარდალი.

კეთილშობილთა მგზნებარე თვალებს
ისევ ანათებს სხივი ციაგი,
თბილად ინახავს გმირთა საფლავებს
დაუშრეტელი მიწის წიაღი.

კვლავ მიაპობენ ლაჟვარდს ასსები,
თითქოს ამტყდარი მძლავრი ქარია,
ჩვენი ლომგული ჯარისკაცები
დასავლეთისკენ მიიჩქარიან.

თუ აღიმართოს მტრის ხელი ავად,
კვლავ თუ მოიჭრა გადამთიელი,
წინ აღუდგება შესამუსრავად
დედა მოსკოვი — დიდი, ძლიერი.

დაჭრილ მხეცს თავის ბუნაგში მოსპობს
და ცეცხლის წვიმას თავზე აწვიმებს.
დიდება გმირებს, დიდება მოსკოვს
სტალინის ფრთებქვეშ დაზრდილ არწივებს!

მ. იასამანი

ბოლნისი

1.

მძლე შავნაბადა ჰორიზონტზე სულ დაიჩრდილა,
მაგრამ აწ მისი საბურველი სხვა მთამ მოისხა.
შორს მოვიტოვეთ ვრცელ ველებზე ღელვა მოლისა,
ჭანდრისწყალიცა, რომ გვეჩვენა ღონემიხდილად.

ჩამოგვრჩა ხრამიც, სად სოფლები მთებზე მიზრდილან,
მაგრამ აქ შორით თითქოს ძლევის ჰიმნი მოისმა:
თავი დაგვიკრა მოკრძალებით შორით ბოლნისმა,
ხოლო მაღლობნი ზვიადობდნენ ცამდე მიწვდილად.

წარსულზე ფიქრში შთაგონებამ წამახალისა:
არა!—წინაპართ დიდი ღვაწლი არ დარღვეულა.
ისევ სჭრის პირი გუთნისა და ბასრი ხმალისა!

მამულის დროშა, უძლეველი, არ დახეულა,
გაცოცხლდა ძალა საქართველოს სამართალისა,
ძველი ლაშქრული მხნე ჰანგებად რომ დარხეულა.

2.

სამშობლოსათვის მუდამ იდექ ერთგულ დარაჯად
ქედმოუხრელი, პირდაპირი, გაუტეხელი.
როს თბილისისკენ მოილტვოდა უცხო მკრეხელი,
უგემებია სასიცოცხლო გზების გადაჭრა.

დანანებია, რაც ამაოდ ღონე დახარჯა,
ვერ დაუპყრიხარ ვერასოდეს ქართლის ბეღელი,
შეუპოვარი, ამაყი და გადუგრეხელი,
მტკიცედ ნაჭედი, მიჩნეული სანდო ყავარჯნად.

ვხედავ, გიმზერენ გარეშემო მთანი—მოძმენი
ძველის ძეგლებით და კალთებზე ხშირი ტევრითა,
გესალმებიან სააკაძის ბრძოლის მოწმენი,

და შენც უღიმი მშობლიურად ხელგაშვერილთა.
შეჰხარი ქვეყნის აყვავებას, დღეებს მოწმენდილთ
ველით, ბაღებით და კამკამა მაშავერითა.

სერგო კლდიაშვილი

დარდიანი კაცი

რკინიგზის საქალაქო სადგურის დარბაზში თითქმის შეფრინდა თეთრებში ჩაცმული შუატანისა და შუახნის მამაკაცი. ერთხანს კიდევ ცმუტავდა, საბილეთო სალაროს ხან ერთ ფანჯარას მივარდებოდა, ხან მეორეს. დახტოდა ისე, რომ ტილოს პიჯაკი და ჩიჩობის განიერი შარვალიც უფრიალებდა. ბოლოს ერთ ფანჯარასთან შეჩერდა და ჯერში მდგართ ამღვრეული თვალები მოავლო.

— ვიღუპები!—სთქვა გამწარებით, ქუდი ნერვიულად მოიხადა, მელოტზე ოფლი მოიწმინდა:—მთელი საათი გაივლის, სანამ ჩემი ჯერი მოაღწევდეს!

ყველამ გაიგონა, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია.

თავდაპირველად თითქოს გაბრუნება დააპირა, მაგრამ რა დაინახა, რომ რამდენიმე ახლად შემოსული მოქალაქე მშვიდად ჩადგა ჯერში, თითონაც გადაწყვიტა დარჩენა.

— მოქალაქე!—მიმართა ბოლოს ახლად შესულს:—თქვენზე ადრე მე მოვედი და იმ ქოლგიანი მანდილოსნის შემდეგ ვდგევარ.

სთქვა და ჩადგა. მოქალაქემ უყოყმანოდ დაუთმო ადგილი.

თეთრებში ჩაცმული მამაკაცი რამდენიმე წუთს მშვიდად იდგა, შემდეგ კი ისევ აცმუტურდა. ხშირად გამოდიოდა ჯერიდან, მივიდოდა ფანჯარასთან, ჩახედავდა სალაროში მჯდომ ქალს.

— არაა ჩვენი საშველი!—ცმუტავდა და ღრინავდა:—იმ დედაკაცს ჩვენი რა ედარდება... ფულს ნელა ითვლის, ბილეთს ზანტად იძლევა... აი ნახავთ, თუ რაიმე გვეღირსოს. დავიღუპე კაცი, ვრჩები ნამდვილად!

იხრავდა, ათვალიერებდა ჯერში მყოფთ და მათ შორის ნუგეშის მომცემს, თანამგრძნობელს ეძებდა. ერთი ვინმე რომ ენახა, იქნებ დამშვიდებულიყო, მაგრამ ვერ პოვებდა ასეთს და ეს უფრო აბრაზებდა.

— ნუ ღელავთ!—სცადა მისი დამშვიდება წინ მდგომმა მოქალაქემ,—მატარებლის წასვლამდე კიდევ თორმეტი საათი დრო გაქვთ.

თეთრებიანმა მამაკაცმა უკმაყოფილოდ შეხედა.

— ეგ, ბატონო ჩემო, ჩვენც ვიცით, მაგრამ...—სიტყვა შეაწყვეტა, ჭკუის დარიგებად ჩასთვლა უცნობისაგან გაგონილი, გაგულისებულმა ჩხაკი თვალები მიაჩერა და მხოლოდ იმისათვის, რომ რაიმე პასუხი გაეცა, მიახალა, რაც პირველად ენაზე მოადგა...—მაგრამ ერთის მხრივ პრინციპია და მეორეს მხრივ გარემოება... დიახ. გაიგეთ ეხლა?

— სიმართლე გითხრათ, ვერაფერი,—ოდნავ გაიღიმა მოქალაქემ.

რამდენიმეს სხვასაც უნებურად გაეღიმა. თეთრებიანმა კაცმა შენიშნა ეს.

— რა თქმა უნდა, ვერ გაიგებთ ჩემსას!—წყრომით გადახედა ყველას,—წინ დგეხართ და ჩემზე ადრე წახვალთ... ჩემი რა გედარდებათ!

მოქალაქეებმა თვალი ჩაუკრეს ერთმანეთს და ამით ანიშნეს,—არა ღირს ამ აბეზარ კაცთან შებმაო. მაგრამ უკვე გვიან იყო, მისი დაცხრომა შეუძლებელი გახდა.

მათ, ვინც უკან იდგა, თეთრებში ჩაცმული მამაკაცი ყურადღებას არ აქცევდა. ისინი მისთვის არც არსებობდნენ. მაგრამ სულ სხვანი იყვნენ წინ მდგომნი. მტრად მიაჩნდა ისინი. ყველა მათგანი ართმევდა დროს და ბილეთის მიღების საშუალებას... ასე ეგონა, თითქოს მის გასაჯავრებლად იდგნენ მშვიდად, ყველა ჯოჯოდ და ტუტუცად ეჩვენებოდა. აგერ, მაგალითად, წინ რომ დედაკაცი გამოჯგიმულა, თუ ბრიყვი არაა, რად დასჭირდა ქოლგის წამოღება? არც წვიმაა, არც მცხუნვარი მზე. ზედმეტი ტვირთი აქვს ხელში და თავს ტყუილად იწუხებს...

— ზოგს არ ეჩქარება, ზოგი იქნება სულაც არ ფიქრობს დღეს გამგზავრებას, მაგრამ მაინც წინ ჩამდგარა,—ბრაზობდა და ბუზღუნებდა:—აი, მაგალითად, ეგერ რომ მოხუცია, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი, თუ მართალი არ ვიქნე, მას სრულიად არ ეჩქარება. სდგას ინდიფერენტულად, ალბათ, არც უნდა წასვლა.

მოხუცმა გაიგონა, მაგრამ არც მიხედა.

— მაგ ხნის ადამიანი, შენ ხარ ჩემი ბატონი,—რატომღაც მოხუცი აითვალწუნა თეთრებიანმა,—შინ უნდა იჯდეს, არ უნდა დატორიალობდეს აქეთ-იქეთ. მისი მიზეზით ჩვენც ვაგვიანებთ და სახელმწიფოც ზარალობს. ის ბილეთს მიიღებს, ხოლო საქმის კაცი დარჩება... მე რომ სახელმწიფო ვიყო, ყველას კი არ მივცემ მგზავრობის უფლებას.

თეთრებში ჩაცმულმა მამაკაცმა სათუთუნე ამოიღო, პაპიროსი გააკეთა და ის იყო გააბოლა, როცა წესრიგის მეთვალყურის ხმა მოესმა:

— მოქალაქე, აქ თამბაქოს მოწევა აკრძალულია!

თეთრებიანმა ნერვიულად დააგდო პაპიროსი და ფეხით მოსრისა.

— ბარემ ამოსუნთქვაც ამიკრძალეთ!—ჩაილაპარაკა თავისთვის,—ასეთი სთქვა ჩემმა მტერმა, კაცმა თუთუნიც ვეღარ მოსწიო! იქნებ, შენ ხარ ჩემი ბატონი, დარდი მაწუხებს და თამბაქოს ბოლს მინდა გავაყოლო. ესეც აღარ შეიძლება? რა იცის მან, რა ლოდი მაწევს ამ ოხერ გულზე? ხვალ ერთ შორეულ სოფელში უნდა ავიდე, სიმამრის წლის წირვასა და პანაშვიდს უნდა დავესწრო. ლხინში და ქორწილში კი არ მივდივარ... სიმამრი, მართალია, ამ ქალაქში გარდაიცვალა და აქ დაკრძალეს, მაგრამ ქელეხსა და სულის საქმეს სოფლად საკუთარ სახლში უხდიან. ღირსეულ ნათესავს ეს უკანასკნელი პატივი აღარ ვცე? რას იტყვიან, თუ ვერ მივედი? თქვენ აგებთ პასუხს, თქვენ მომიწმენდთ ნამუსს? მე უნდა დავრჩე და იმ მოხუცმა კი ბილეთი მიიღოს? სადაა სამართალი?

მოხუცმა ესეც გაიგონა, მაგრამ არც ახლა მიუხედავს. იდგა მშვიდად და მოთმინებით.

— ეჰ, რამდენ რაიმეს უნდა გაუძლო კაცმა!—ვერ ისვენებდა თეთრებიანი,—თქვენ გეგონოთ, რატომ ღელავსო და მე კი, ჩემს თავზე რომ დავფიქრდები, სწორედ ის მიკვირს, თუ რა რკინის გული და ნერვები მქონია. აი ვიდი, ანჯიქო სავანელო, რა ვირის მოთმინება გმართებს!..

მისმა ბუზღუნმა ყველას, თავი მოაბეზრა, მაგრამ ხმას მაინც არავინ სცემდა. ეშინოდათ კიდევ უფრო არ აჯბედებულიყო.

ამით გათამამებული და უფრო იმით გაბოროტებული, რომ ყურადღებას არ აქცევდნენ, თეთრებიანი აღარავის ერიდებოდა, ყველაზე მეტად კი არ ზოგავდა იმ მოხუცს, რომელსაც თავიდანვე კბილი დაასო.

— ცალი ფეხი სამარეში აქვს და მაინც დაბორიალობს. მოხუციაო, იტყვით. აგეთი მოხუცებია, რომ ქვეყანას აწგრევენ. მე მენახავს ისეთი მოხუციც, რომელიც ასპეკულაციოდ დაძვრებოდა ბაქოდან ბათუმამდე და ბოლოს ყალბი ფულის მოჭრაც დაიწყო. მოდი და ამის შემდეგ პატივი ეცი მათ ჭაღარას. ჩვენს დროში, შენ ხარ ჩემი ბატონი, აღარც თუ ვინმე იჩერებს ჭაღარას, წვერსა და ულვაშს ყველა იპარსავს. მხოლოდ ზოგიერთები იტოვებენ, ასე ვთქვათ, შენიღბვის მიზნით—პატივი გვეცითო, ჭაღაროსანი გახლავართო, და ტრამვაიში და ტროლეიბუსში წინა კარებიდან შედიან... დიახ, ვიცნობთ ჩვენ ეხლანდელ მოხუცებს...

კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, როცა მოხუცის მშვიდი ხმა მოესმა:

— თქვენ, მგონი, ძალიან ღელავთ იმის გამო, რომ ადრე მოსული თქვენზე წინ ვდგევარ. ინებეთ, დადექით ჩემს ადგილზე, მე კი თქვენს ჯერს დავიჭერ.

თეთრებში ჩაცმულ მამაკაცს, ცოტა არ იყოს, არ ესიამოვნა, რომ მოხუცს მისი სიტყვები გაეგონა, გულს მოხვდა მისი თავაზიანი საყვედური, მაგრამ არ დაიმჩნია და თავის გამართლებაც სცადა.

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, სიმართლეს ვამბობ და არ უნდა გეწყინოს: დროული კაცი ბრძანდებით და შინ ჯდომა უფრო შეგფერის. შენც მოსვენებულად იქნები და აღარც ჩვენ დავბრკოლდებით. საწყენად ნუ მიიღებ, თუ აღელვებულმა ზედმეტი რაიმე ვთქვი. ათასი დარდი მაწევს გულზე. აქეთ წლისწირვა და პანაშვიდი, იქით კიდევ ჩემს ცოლს დისწული ჰყავს ფრონტზე. ერთი თვეა მისი ამბავი არ იცის. შენ კი, მამაცხონებულო, თავზე ხელი აგიღია, დაგვიწყნია მოხუცებულობა და არხეინად ელოდები ბილეთის აღებას. არ მომწონს, როცა მოხუცი ღოღიალს იწყებს. ყველაფერს, შენ ხარ ჩემი ბატონი, თავისი დრო და ჟამი აქვს. ამიტომ გითხარი, ჩემო ბიძია, და თუ დაფიქრდები, სიმართლე მითქვამს. ასე არაა?

— არც სულ მართალი ბრძანდებით,—ღიმილი გამოისახა მოხუცის კეთილ სახეზე.

— ვითომ რატომაო?—ირიბად გადახედა თეთრებიანმა—ჰო, რაო?

— თუ ასე გაინტერესებთ, ამასაც მოგახსენებთ... თქვენ თუ საქმის კაცი ბრძანდებით, გულხელდაკრეფილი არც მე გახლავართ. წარმოდგენილი გექნებათ, თუ რამდენი დრო და შრომა სჭირდება სამხედრო ქარხანაში მომუშავე სპეციალისტს. გარდა ამისა, მე ტყუილად არ ავტორიალებულვარ... ცნობა მივიღე, რომ ჩემი მეორე ვაჟი დაჭრილი წევს ზღვისპირა ერთ ჰოსპიტალში და მივდივარ მის სანახავად,—სთქვა და კიდევ შესთავაზა:—მობრძანდით, დადექით ჩემს ადგილზე. თქვენც დამშვიდდებით და ჩემზე საყვედურით აღარც სხვას შეაწუხებთ.

თეთრებიანი მამაკაცი სახტად დარჩა. სცადა, რაღაც ეთქვა საბოდიშო, მაგრამ ვერაფერი მოახერხა. უფერული თხელი ტუჩები მხოლოდ ნერვიულად შეირხნენ და დაიმანჭნენ. როცა ერთხელ გარშემო მიმოიხედა, შენიშნა, რომ ყველანი მისჩერებოდნენ.

ნემსივით ჩხვლეტდა მასზე შეჩერებული მრავალი თვალი. ვიღაც ბეცმა მოქალაქემ სათვალეც გაიკეთა და დამცინავი ღიმილით მიაცქერდა.

ესეც მისი იღბალი, რაღა მაინცდამაინც ასეთ მოხუცს წააწყდა? სულ იმ სიმამრის ბრალია ყველაფერი... ათი წელიწადი დამბლადაცემული ეგდო საწოლში და რაღა მაინცდამაინც შარშან ამ დროს ამოძვრა სული? მისი წყალობით თავი გაიმასხარავა... ახლა ყველა ოხერს მიზეზი მიეცა დასცინოს... აი ამ დედაკაცსაც, წინ რომ დამდგარა და ქოლგა იღლიაში ამოუჩრია, რა ჭკუამ მისცა ქოლგის წამოღება ასეთ ამინდში?

მდუმარედ იყო თეთრებიანი მამაკაცი. იდგა და ქუთუთოებს აფახულებდა. დარბაზში ხალხი ბუზღუნებდა, და ასე ეგონა, რომ ეს ჩვეულებრივი ბუზღუნი კი არ იყო, არამედ ყველა მას დასცინოდა. წასვლა უნდოდა, მაგრამ ჯერის დატოვება ენანებოდა. რა ქნას ახლა ისეთი, რომ ყურადღებას აღარავინ აქცევდეს? ეს ტიალი დროც რომ ნელა გადის... სადაა იმდენი მოთმინება, რომ კიდევ ერთი საათი მათ ცქერას გაუძლოს?!

მისი თვალები უეცრად გაოცებისაგან გაფართოვდნენ. დარბაზში თავისი ცოლი დაინახა. დაბორიალობდა ხალხში დედაკაცი და ვიღაცას ეძებდა.

— რა მოხდა, ადამიანო?—ჰკითხა გაკვირვებულმა,—რამ მოგიყვანა აქ?

— დეპეშა მივიღე, ანჯიქო...—ქშინავდა ჩქარი სიარულისაგან დაღლილი ქალი,—მთელი ნათესაობა სოფლიდან აქ ჩამოდის. გადაუწყვეტიათ, წლისწირვა და პანაშვიდი ადგილობრივ საფლავზე გადაიხადონ. საჭირო აღარაა ჩვენი წასვლა.

ისედაც ფერმკრთალი თეთრებიანი მამაკაცი ამის გაგონებაზე თეთრ პიჯაკზე უფრო თეთრი გახდა. ადვილად წარმოიდგინა, თუ რას უქადიდა ნათესავების ჩამოსვლა... ჩაუსახლდებიან მთელი კვირით, აღარც ძილი და აღარც მოსვენება, შესვამენ და შეხრავენ ყველაფერს, გააპარტახებენ სახლს და მხოლოდ ამის შემდეგ, მოიფიქრებენ წასვლას... აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას უდრიდა მათი სტუმრობა.

— რაღა ვქნათ ახლა?—გაოგნებულ ქმარს ხელი მოჰკიდა ცოლმა.

— ძაღლი მიაკვდა სულში მამა შენს!—ამოიგმინა თეთრებიანმა,—სიცოცხლეში ბოროტი იყო და საფლავიდანაც აღარ გვასვენებს. ტფუი ჩემს გაჩენას!

გაბოროტებულმა ჩამოიგლიჯა მკლავში ჩაკიდებული ცოლის ხელი, ერთბაშად მოსხლტა ადგილს და გასასვლელ კარისკენ გასწია. მიხტოდა ისე, რომ ტილოს პიჯაკი და ჩიჩობის განიერი შალვარიც უფრიალებდა.

გაკვირვებული ცოლი კვალდაკვალ მისდევდა.

ნიკოლოზ ჩაჩავა

ვისთვის ხატავენ ასეთ ილუსტრაციებს?

ილუსტრაცია საბავშვო წიგნის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილთაგანია. სკოლამდელთა წიგნებში ილუსტრაციას გადამწყვეტი მნიშვნელობაც აქვს. საბავშვო წიგნის ილუსტრაცია დიდ გავლენას ახდენს მომავალი მოქალაქის გემოვნების, გრძნობისა და ტალანტის განვითარებაზე.

ამიტომ არ არის გასაკვირველი, რომ საბავშვო წიგნი იმთავითვე სურათს იყენებს როგორც ლიტერატურული ტექსტის დამატებას. მაგრამ კარგი ნაწარმოები, თუ კი იგი უხეიროდ და უგემურად არის გამოცემული, თუ უფერული და უმეტყველო ილუსტრაციებით არის სავსე, ბავშვებამდე არც კი მიდის. „წიგნაკის გაფორმების მიხედვით მეტწილად უკვე შეგვიძლია მივხვდეთ, — წაიკითხავს თუ არა ბავშვი ამ წიგნს“ (ა. ანდრეევი). და სწორედ ამიტომ მეტის პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ საბავშვო წიგნის დასურათებას.

ჩვენში რატომღაც საბავშვო წიგნის გაფორმებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. საბავშვო წიგნის ილუსტრირებაზე მუშაობენ ხშირად არა კვალიფიციური მხატვრები. ისინი მხოლოდ შემოსავლის წყაროდ თვლიან ამ მნიშვნელოვან საქმეს; არ იცნობენ ბავშვის ფსიქოლოგიას, მის ჩვევებს, მოთხოვნებს, არ ცდილობენ გამონახონ ახალი საშუალებები და ფორმები საბავშვო წიგნის დასურათხატებისათვის. ხშირად არც სურვილს იჩენენ ყურადღებით წაიკითხონ მწერლის მიერ დაწერილი ტექსტი, რომ მასში, რაც ძირითადი და მთავარია, გამოჰყონ და მისი დასურათებით ბავშვებისათვის უფრო გასაგები და მიმზიდველი გახადონ წიგნი.

ამის მაგალითი ბევრი გვაქვს.

ავიღოთ თუნდაც უკანასკნელ წლებში გამოცემული საბავშვო წიგნები. უმეტეს მათგანს არ აჩნია კვალიფიცირებული მხატვრის ხელი.

არსებობს ასეთი წიგნი: „პიონერი დათია, კარგი მაგალითია“. ილუსტრაციები მხატვარ ბ. რომანოვსკის ეკუთვნის, წიგნი გამოცემულია სამხატვრო ფონდის მიერ. წიგნში მოთხრობილია, პიონერი დათია თუ როგორ იცავს საჰაერო და ქიმიური თავდაცვის წესებს. მეტად საპატიო დანიშნულება აქვს ამ წიგნს: განამტკიცოს ბავშვის შეგნებაში დისციპლინის გრძნობა. მხატვარს რომ მოენდომებია, შეეძლო მეტად საინტერესო ილუსტრაციები მოეცა, ტექსტი უფრო აემაღლებია, უფრო დამაჯერებელი გაეხადა იგი. მხატვარი კი მთელი გულისყურით არ მოჰკიდებია ამ საქმეს.

ყდაზე დახატულია პიონერი დათია. პირდაპირ საკვირველია, რას დაუმსგავსებია მხატვარს წითელყელსახვევიანი, სალამისათვის ხელაწეული პიონერი. უმეტყველო, გაშეშებული სახე მაღაზიის ვიტრინებში გამოფენილ ტიკინების შთაბეჭდილებას სტოვებს. მხატვრობას რომ თავი დავანებოთ, ეს სურათი არ გამოსახავს პიონერული ასაკის ბავშვის სახეს.

წიგნის მეათე გვერდზე ბავშვებისთვისაც და მასწავლებლისთვისაც მხატვარს საოცარი გამომეტყველება მოუცია. უილაჯოდ, ქუჩური მანერებით, გვერდზე მოგდებული ქუდით, ჯიბეებში ხელჩაწყობილი ბავშვები გასაოცრად მიაბიჯებენ. ამავე წიგნის მე-11 გვერდზე დათია გარბის თავშესაფარში, მას ქუჩაში მოუსწრო განგაშმა და იგიც არსებულ წესს ასრულებს. მხატვარს დათიასთვის ქუდი გვერდზე დაუხურავს, ქოჩორი წინ წაუგრძელებია, ხელში პორტფელი დაუჭერინებია, და დათია ისეთნაირად გარბის, გეგონებათ პორტფელი მოუპარავს და დამალვას აპირებსო.

ათვალიერებ ამ სურათებს და რწმუნდები: მხატვარს თავიც არ შეუწუხებია შეესწავლა პიონერების ყოფა-ცხოვრება.

არა ნაკლებ განსაცვიფრებელია „ტექნიკა და შრომას“ მიერ გამოცემული წიგნი „ჩვენი საჩუქარი“ (მხატვრები გური და ვისოცკი). აქ პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ის, რომ უკვე ყდაზე ფერები კონტურებში არ არის ჩამჯდარი, ერთი ფერი მეორეში გადადის, ხაზები ცალკეა, ფერები — ცალკე; ეს სურათები კი არა, ფერებისა და ხაზების საოცარი აღრევაა...

თანაც ბეჭდვის დროს ილუსტრაციები ისე აურევიათ, რომ ხშირ შემთხვევაში, ისინი მათ ქვემოთ წარწერილ ტექსტს არ გამოხატავენ. ტექსტში ერთი სწერია, ილუსტრაცია კი სულ სხვას გამოხატავს. (ეს რა თქმა უნდა, გამომცემლობასა და კერძოდ სტამბის მუშაკთა უპასუხისმგებლო მუშაობის შედეგია).

არის ასეთი წიგნიც „17 ძმა“ (სამხატვრო ფონდის გამოცემა) ერთ მამას ჩვიდმეტი ვაჟი ჰყავს, 14 მათგანი სამშობლოს დასაცავად ფრონტზე იბრძვის. უმცროსები კი ფრონტს ეხმარებიან. ასეთია ამ წიგნის შინაარსი. მხატვარ სამსონ ნადარეიშვილს, რომელსაც შეეძლო უკეთ დაესურათებინა ეს წიგნი, მდარედ გაუფორმებია იგი. ყდაზე რამდენიმე ფერში (მწვანე, შავი, თეთრი, მუქ-წითელი, წითელი და მოყვითალო ფერი) მოცემულია სურათი. წინა პლანზე ჭაღარა მამა ხატია, უკან სამკუთხედში, მთების ფონზე 17 შვილის თავები მოსჩანს, ისინი სოკოების შთაბეჭდილებას სტოვებენ.

მეოთხე გვერდზე ვკითხულობთ:

„ერთ სახლიდან გამოვიდა
თითქმის მთელი ჯარი.
წავიდა და ფრონტს მოედო
ძია ვანოს გვარი“.

მხატვარს დაუხატავს თითქო წითელარმიელის მაგვარი თოთხმეტი ფიგურა. არც ერთის სახე გარკვევით არ სჩანს. მათ მუქი მწვანე ფორმა აცვიათ. მინდორიც მწვანეა, ცაც მომწვანოა და სახლის სახურავი მწვანეთაა შეღებილი. ასე, რომ ფერი აქ არ თამაშობს, იგი არ ამჟღავნებს თავის ხარისხს. უფრო ერთი მოსმით დასხმული მწვანე ლაქაა. ამიტომ ერთმანეთში არეულია ადამიანები და საგნები.

თვით ადამიანებიც უშნოდ გაკეთებულ სათამაშო ჯარისკაცებს ჰგვანან. ს. ნადარეიშვილის ილუსტრაციებში, საერთოდ, მხატვრობის ელემენტარული კანონებიც არ არის დაცული.

წიგნში „პიონერო, მოგვეც ლითონი“ (სამხატვრო ფონდის გამოცემა) მხატვარ დ. ქუთათელაძის ილუსტრაციებია. ეს კვალიფიცირებული მხატვარიც, რომელიც ფერებით ბეჭდვის ტექნიკას კარგად იცნობს, და არა ნაკლებ იცის საერთოდ წიგნის დასურათების საქმეც, მეტად უპასუხისმგებლოდ მოკიდებია ამ წიგნის გაფორმებას.

ყდაზე წითელარმიელი დგას. მოსასხამი უფრიალებს, ხელში გიტარასავით უჭირავს ავტომატური თოფის მსგავსი რაღაც ჯოხი, მინაბული თვალები, გაშეშებული სახე, აქაც მუქი მწვანე ფერი სჭარბობს. იგი არეულია მუქ-ცისფერთან. წიგნის მეორე გვერდზე ასეთი სურათია: ბავშვებს ჯართი მოაქვთ, ყველას რაღაც ერთნაირად შეშინებული სახე აქვს. ისინი ერთმანეთს ძალზე გვანან. ფერების შერჩევაც მეტად უგემურია. თმები, ჯართი და ფეხსაცმელები ერთი ფერისაა, თითქმის ერთივე ფერის ტანისამოსი აცვიათ. საკითხავია, ასეთი ერთფეროვნება მოახდენს რაიმე დადებითს ზეგავლენას ბავშვ-მკითხველზე, განუვითარებს მას მხატვრულ გემოვნებას?

რა თქმა უნდა, არა.

მხატვარი რომანოვსკი, როგორც სჩანს, დიდი პოპულარობით სარგებლობს სამხატვრო ფონდის გამომცემლობაში. მის მიერ გაფორმებულია მრავალი წიგნი. „ორი გმირიც“ მისი ილუსტრაციებით არის გამოცემული.

ყდაზე გამოხატულია ორი ბავშვი. მწვანე ფერის ფონზე ერთ მათგანს აცვია შვინდისფერი ხალათი, მეორეს კი ლილისფერი. ცხვირს ქვევით სახე თეთრი აქვთ. სახის დანარჩენი ნაწილი და კისერი მოვარდისფერო. სახეზე თეთრი ფერი ისეა გამოსახული, რომ ბავშვები კეთროვანებს ჰგვანან. მხნეობის არავითარი ნასახი მათ გამომეტყველებაში არ სჩანს. მხატვარი უფრო შორს წასულა. შემდეგ ილუსტრაციებში ეს ბავშვები გასაოცრად დაუმახინჯებია, მათ უდროოდ დაბერებული სახეები აქვთ. ისინი თითებ მოჭრილი ხელებით იღებენ ნივთებს; გაყინული ფიგურები თუ რას აკეთებენ, ან რატომ—სურათები ამის შესახებ არაფერს გვეუბნებიან.

და ბოლოს წიგნი თავდება კარიკატურის მსგავს ილუსტრაციით. დაჯღანული, უჭკუო გამომეტყველების ბავშვები იარაღს აბარებენ წითელ არმიელის გაშეშებულ ფიგურას. აქვეა ხე, მინდორი, მდინარე, მთები, ცა, ტროფეული ნაღმების მტყორცნი, ტანკი და კიდევ რაღაც. პატარა ნახატი მეტად გადატვირთულია. რაზე უნდა შეაჩეროს პატარა მკითხველმა ყურადღება, რა უნდა შენიშნოს მან ასეთ ქაოსში?!

როგორც სჩანს, რომანოვსკი საბავშვო მხატვრობას არ იცნობს. მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს რეპროდუქციის პროცესებზე. ილუსტრატორი კი კარგად უნდა იცნობდეს რეპროდუქციის და ბეჭდვის სხვადასხვა საშუალებას, რომ სურათზე მუშაობის დროს გაითვალისწინოს ამა თუ იმ საშუალებათა თავისებურებანი. ყველა ილუსტრაცია ხომ გამოსადეგი არ არის ერთ და იმავე ბეჭდური გამოსახულებისათვის? მხატვარი-ილუსტრატორი თავის ნახატს ქმნის გასავრცელებლად, ამიტომ მან ბეჭდვის ტექნოლოგიური პროცესი კარგად უნდა იცოდეს. იგი სურათზე მუშაობისას უნდა ითვალისწინებდეს ამა თუ იმ საშუალებათა ნაკლოვანებებსა და დადებით მხარეებს. მას უნდა შეუფარდოს თავისი შემოქმედებითი განზრახვა.

ცუდი ილუსტრაცია პატარა მკითხველს დიდხანს რჩება მეხსიერებაში, ცუდი ან საშუალო სურათი მის შეგნებაში თანდათან მკვიდრდება და ბავშვისათვის ისინი უხალისო, შაბლონურ ფორმებად იქცევიან; შაბლონი, საშუალო ხარისხი, როგორც წესი, ნელ-ნელა თავს იჩენს ბავშვის საქციელში, მოქმედებაში.

სწორედ ამიტომ არის სახიფათო და საზარალო მდარედ დასურათებული, შაბლონური ილუსტრაციებით სავსე საბავშვო წიგნი.

სწორედ ამიტომ იყო, რომ შაბლონური, უხალისო, უგემოვნო ილუსტრაციების წინააღმდეგ მეტად სასტიკად გაილაშქრა ამხანაგმა ა. ა. ანდრეევმა საბავშვო წიგნის გარშემო გამართულ თათბირზე. იგი პირდაპირ ეუბნება მხატვარს:

„ჩვენი საბავშვო ლიტერატურიდან უნდა ვდევნიდეთ ყოველივე იმას, რაც ბავშვთა სწორი გემოვნების განვითარებას ეწინააღმდეგება. მთელი ეს თითხნა, რომელიც სინამდვილეზე არავითარ რეალურ წარმოდგენას არ იძლევა, და ყოველგვარი დამახინჯებანი ამ დარგში დაუნდობლად უნდა იდევნებოდეს. დაე ასეთმა მხატვრებმა ასეთი სურათები ხატონ თავისთვის, თავისი სიამოვნებისათვის, ჩვენი ბავშვებისათვის კი ასეთი ნათითხნის მიწოდების ნებას არავის მივცემთ“.

ამხანაგ ანდრეევის ეს გაფრთხილება კარგად უნდა ახსოვდეს ყოველ მხატვარს, როცა იგი საბავშვო წიგნის ილუსტრაციებზე მუშაობს.

შალვა კაშმაძე

ხალხური სიმღერის ენთუზიასტი

(ძუკუ ლოლუას გარდაცვალებიდან 20 წლისთავის შესრულების გამო)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულდა ოცი წელი შესანიშნავი ლოტბარის, დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერის საუკეთესო მცოდნისა და მისი მოამაგის ძუკუ ლოლუას გარდაცვალებიდან.

ღარიბ ოჯახში დაბადებულ ძუკუს ანბანი დედამ შეასწავლა, მანვე შთაუნერგა ხალხური კილოს სიყვარული და ჩონგურის სიმთა ჟღერით ბავშვობიდანვე მოხიბლა მისი სული. პატარა ძუკუ მუდამ სოფლის მომღერალთა წრეში ტრიალებდა, სწავლობდა ხალხურ სიმღერას. მას ხელს უწყობდა ბუნებრივი მუსიკალობაც, სმენა და მშვენიერი ხმა.

ლოლუამ პირველად მოუსმინა ქუთაისში სანდრო კავსაძის გუნდს. ამ დღიდან მოკიდებული მხოლოდ ერთი ოცნება ამოძრავებდა მას: ეს იყო ხალხური სიმღერების შეგროვება, დამუშავება და ფართო საზოგადოებაში გატანა. ლოლუამ მალე ქ. სოხუმში 1908 წ. შეადგინა გუნდი ხალხური სიმღერის მცოდნე პირთაგან, გაწვრთნა და კონცერტების მართვა დაიწყო. მან შემოიარა მთელი დასავლეთი საქართველო — გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი და შეკრიბა მივიწყებული შესანიშნავი ხალხური სიმღერები. შეიძლება ითქვას, რომ თავის დროზე იგი თითქმის ერთად-ერთი და საუკეთესო მცოდნე იყო მეგრულ-აფხაზური სიმღერებისა. ამავე დროს, არა ნაკლებ იცნობდა აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერებსაც. მაგრამ მარტო ლოტბარობითა და ხალხური სიმღერების შეგროვებით როდი იფარგლებოდა ძ. ლოლუას მოღვაწეობა. იგი ხშირად ათავსებდა პრესაში სტატიებს და მოუწოდებდა ქართველ მუსიკოსებს გაბედული ნაბიჯი გადაედგათ ჩვენი ქართული ხალხური სიმღერების შესაგროვებლად და დასაცავად.

ძ. ლოლუას გუნდის მიერ დასავლეთ საქართველოს სიმღერების, განსაკუთრებით, მეგრული სიმღერების შესრულებას მაღალი მხატვრული დონე ახასიათებდა. უწინარეს ყოვლისა, ძუკუ შეურყვნელად იცავდა ხალხურ კილოს, მის ნიუანსებს, რაც ზოგი უხეირო ლოტბარის წყალობით ხშირად მიჩქმალულია გუნდის ყვირილში ან უხეშ შეკრულებაში. ხალხური სიმღერები „სი ქოულ ბატა“, „ჩელა“ (მეგრული ურმული), „ბუბა ქაქუჩელა“, „ნადური“, „იმერული მხედრული“ და მრავალი სხვა მთელი ბრწყინვალებით წარუდგინა საზოგადოებას ძუკუ ლოლუამ. ლოლუას ჰქონდა თავისი საკუთარი სიმღერებიც, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, იგი ძვირფასია ჩვენთვის როგორც ხალხური სიმღერის სისპეტაკის გულმოდგინე დამცველი, მივიწყებული და ნაკლებად ცნობილი სიმღერების აღმდგენი და პოპულიზატორი.

პოეტი იროდიონ ევდოშვილი „სახალხო გაზეთში“ სწერდა:

„სულ რამდენიმე თვეა, რაც სოხუმში ბ-ნ ძუკუ ლოლუას მეთაურობით შესდგა ქართველ მომღერალთა დასი. მქონდა შემთხვევა მომესმინა ამ ახალგაზრდათა სიმღერა და უნდა ვაღვიარო, რომ სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა. გამიგონია სხვა ქართველ მომღერალთაგანაც დასავლეთ საქართველოს სიმღერები, მაგრამ როგორც ის ზემოხსენებული გუნდი უტყუარად გადმოგვცემს დასავლეთ საქართველოს სიმღერათა ჰანგებს, ასე ჯერ არცერთ ქართულ გუნდს არ მოუხერხებია...“

იროდიონ ევდოშვილმა აღძრა ძუკუ ლოლუას გუნდის თბილისში მოწვევის საკითხი.

ძუკუ ლოლუა და იოსებ გრიშაშვილი
1917 წ.

1917 წლის 26 აგვისტოს თბილისის ქართულ კლუბში გაიმართა ძუკუ ლოლუას გუნდის კონცერტი, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. გუნდს თაიგულები მიართვეს და ბევრი სიმღერა გაამეორებინეს.

თავის კონცერტებს ლოლუა გარკვეულ აპროგრამო ხასიათს აძლევდა, იგი სდგამდა თავის ორმოქმედებიან სურათს აფხაზური სოფლის ცხოვრებიდან, გამოჰყავდა გუნდის წევრები ქართველ პოეტთა ლექსების კითხვით, უხსნიდა დამსწრე საზოგადოებას ხალხური სიმღერის მნიშვნელობას, მოუწოდებდა დაეარსებინათ ყველა დაბა-ქალაქში და მოზრდილ სოფელში მომღერალთა გუნდები. ამ გუნდების ხელმძღვანელობას უსასყიდლოდ კისრულობდა ძ. ლოლუა.

1919 წლის 6 იანვარს ძ. ლოლუამ გააკეთა მოხსენება საქართველოს ფილარმონიული საზოგადოების სხდომაზე და აღძრა სოხუმში ფილარმონიის განყოფილების და სამუსიკო სკოლის დაარსების საკითხი. საზოგადოების გამგეობამ მისცა მას წელდება, აღჭურვა რწმუნებით და დაავალა ნიადაგის მომზადება განყოფილების გასახსნელად. ლოლუამ ჩინებულად დააგვირგვინა საქმე.

საქართველოს ფილარმონიის სოხუმის განყოფილება გახსნა საგანგებოდ თბილისიდან მივლინებულმა ზაქარია ჩხიკვაძემ 1919 წლის 23 აპრილს. მას ეწოდა „აფხაზეთის ქართველთა სამუსიკო საზოგადოება“.

ძუკუ ლოლუა დაინიშნა ქ. სოხუმში ხალხური სიმღერების შესწავლის ხელმძღვანელად. მან შეადგინა შესანიშნავი გუნდი, რომელშიც 80 კაცი შედიოდა. მისივე ინიციატივით დაარსდა ფოთში „სიმღერის მოყვარულთა საზოგადოება“. საზოგადოებამ მიზნად დაისახა ხალხური საერო და სასულიერო სიმღერების შეკრება, შესწავლა და გავრცელება. ლოლუამ აქაც შეადგინა შესანიშნავი გუნდი ფოთის ქალთა სკოლისა და ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეთაგან. გაიმართა კონცერტები აბაშასა, სენაკსა, სამტრედიასა, ბათომსა, ქუთაისსა, ჭიათურასა და სხვა ადგილებში. კონცერტებს დიდძალი საზოგადოება ესწრებოდა.

* * *

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განათლების სახალხო კომისარიატმა ძ. ლოლუა დასავლეთ საქართველოს გუნდების ინსტრუქტორად დანიშნა. 1923 წელს მას გადაუხადეს მოღვაწეობის 25 წლის იუბილე. ამ დღიდან მის მუშაობას უფრო ფართო სარბიელი გაეხსნა. მან განიზრახა სრულიად საქართველოს მუსიკოსთა და განთქმულ სახალხო მომღერალთა კონფერენციის მოწვევა, რისთვისაც დიდი მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარა, დაამზადა მოხსენება და გამოიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებსაც სწორ გზაზე უნდა დაეყენებინა ხალხური შემოქმედების შესწავლის და შეგროვების საქმე.

სამწუხაროდ, ამ საქმის დამთავრება თვით მას არ დასცალდა. 1924 წ. აგვისტოს პირველ რიცხვებში მოულოდნელად ავად გახდა და 9 აგვისტოს გარდაიცვალა. 13 აგვისტოს იგი ვერის სასაფლაოზე დაკრძალეს.

* * *

უანგარო საზოგადო მოღვაწე ძუკუ ლოლუა შესანიშნავი გულის პატრონი იყო. რამდენჯერ, მცირე შემოსავლის შემთხვევაში, მას საკუთარი ნივთი და ტანსაცმელი გაუყიდნია გუნდის წევრების დასაკმაყოფილებლად. ბავშვივით ალალი, კეთილი და ზედმიწევნით თავაზიანი ძუკუ საერთო სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა. აღსანიშნავია ერთი გარემოება: ბოლო დროს ყურს დააკლდა, მაგრამ ვერცერთ ყალბ ბგერას ვერ შეაპარებდა ადამიანი. ასევე გაუყალბებელი და სპეტაკი იყო მთელი მისი სამსახური ქართული მუსიკალური კულტურის წინაშე. მან არა ერთი შესანიშნავი მოწაფე აღზარდა. მისი წრიდან გამოვიდნენ კიწი გეგეჭკორი, რ. შელეგია, პ. გაბელია და ბევრი სხვა ჩინებული მომღერალ-ლოტბარი. ძ. ლოლუას მიერ დაარსებულ გუნდს სათავეში ჩაუდგა ერთ-ერთი მისი მოწაფე ამხ. კ. პაჭკორია, რომელიც განაგრძობდა ძ. ლოლუას დაწყებულ საქმეს, — ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციის საქმეს, როგორც საქართველოში, ისე მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში.

ძუკუ ლოლუას ოცნება ერთი-ათად განხორციელდა საბჭოთა ხელისუფლების დროს. ჩვენმა ნიჭიერმა კომპოზიტორებმა ზ. მშველიძემ, გ. კოკელაძემ, ა. ბალანჩივაძემ, შ. ხიკვაძემ და სხვებმა ასობით ხალხური სიმღერა ჩასწერეს. ეს მუშაობა წლიდან წლამდე ფართოვდება და გრანდიოზულ ხასიათს იღებს.

ს. შანშიაშვილის იგავ-არაკები და ზღაპრები

ამ დღეებში სანდრო შანშიაშვილმა მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციის საჯარო სხდომაზე წაიკითხა საბავშვო ლექსები, იგავ-არაკები და ზღაპრები. ამ საბავშვო ნაწარმოებთაგან ერთი მოზრდილი წიგნი შესდგება. მწერალს ეს ლექსები, იგავ-არაკები და ზღაპრები დაუწერია სხვადასხვა დროს თავისი სამწერლო მოღვაწეობის მანძილზე.

ს. შანშიაშვილის საბავშვო ნაწარმოებთა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: ი. გრიშაშვილმა, ნ. ჩაჩავამ, ე. ასტვაცატუროვამ, რ. ქორქიამ და სხვ. ერთხმად აღინიშნა ს. შანშიაშვილის საბავშვო ლექსების მაღალი ღირსება. ყოველი ლექსი იმდენად თბილად, მართლად და მხატვრულად არის გამართული, რომ თანაბრად საინტერესო იქნება როგორც ბავშვებისათვის ისე მოზრდილ მკითხველებისთვის.

იგავ-არაკების სიუჟეტები ს. შანშიაშვილს აუღია ქართული ხალხური სიტყვიერებიდან, მათი მორალი ხალხური ანდაზებით გამოუხატავს. ამბავი იგავ-არაკებში საინტერესოდ არის აწყობილი და განვითარებული. ყოველი პერსონაჟის ხასიათი ნათლად არის გამოკვეთილი. იგავ-არაკები განსაკუთრებით საინტერესო იქნება მცირე ასაკის ბავშვებისათვის.

ს. შანშიაშვილის ზღაპრებს ჯერ კიდევ აკლია დამუშავება. ს. შანშიაშვილის „ნაცარქექია“ მეტის-მეტად დაშორებულია ფოლკლორს. მაგალითად ბოროტი არსება დევი ავტორს შეუცვლია ადამიანით, რის გამო ამ ნაწარმოებს აკლდება ზღაპრული ელემენტი.

ერთხმად გამოითქვა აზრი, რომ ს. შანშიაშვილის მიერ წაკითხული საბავშვო ლექსები, იგავ-არაკები და ზღაპრები უნდა გამოიცეს, რაც შენამატი იქნება ჩვენი საბავშვო ლიტერატურისათვის.

ალექსანდრე ქუთელია

რუსული კლასიკური ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობა

წერილი მეოთხე: ლ. ტოლსტოი მსოფლიო ლიტერატურაში

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ტოლსტოიმ „ნაბიჯი გადადგა წინ მთელი მსოფლიოს მხატვრულ განვითარებაში“. ლენინი, გორკის სიტყვით, ამაყობდა რუსული ხელოვნებით და ტოლსტოის ბადალს ვერავის პოულობდა მთელს ევროპაში.

ლენინი ტოლსტოის შესახებ გორკის ეუბნებოდა:

— „რა ბუმბერაზია, ჰა? რა უზარმაზარი ადამიანია! აი, მხატვარიც ეს არის... და, იცით, რაც კიდევ უფრო საოცარია? ამ გრაფამდე ნამდვილი გლეხი ლიტერატურაში არ ყოფილა.

მერმე მან მოჭუტული თვალებით შემომხედა და მკითხა:

— ვინ შეიძლება ევროპაში მას გვერდით ამოვუყენოთ?

თვითონვე გასცა პასუხი:

— არავინ.

და კმაყოფილმა გაიცინა, თან ხელებს იფშვნეტდა.

მე ხშირად შემინიშნავს, რომ იგი ამაყობდა რუსული ხელოვნებით“.

თვითონ გორკი, რომელზეც ლენინი ამბობდა — „მისებრ მართლად და გაბედულად ტოლსტოის შესახებ არავის არ უწერიაო“, ტოლსტოის სასწაულებრივ დევგმირს უწოდებდა. „მას აქვს რაღაც მსგავსება დევგმირ სვიატოგორთან, რომელსაც დედამიწა ვერ იკავებს“, — ამბობდა იგი. ტოლსტოი გორკის სიტყვით, კაცია კაცობრიობისა. ეს გიგანტი ვანსახიერებდა თავის თავში რუსული სულის ყველა ნაციონალურ და რთულ ნიშნებს. „ტოლსტოი უაღრესად ნაციონალურია, იგი განსაცვიფრებელი სისრულით განსახიერებს თავის სულში რთული რუსული ფსიქიკის ყველა თავისებურებას: მასში არის ვასკა ბუსლაევის შმაგიანი კადნიერება და ნესტორ მემატიანის წყნარი ჩაფიქრებულობა; მასში მეტყველებს ავაკუმის ფანატიზმი, იგი სკეპტიკოსია, როგორც ჩაადაევი, პოეტია არა ნაკლებ, ვიდრე პუშკინი და ჭკვიანია როგორც გერცენი — ტოლსტოი მთელი სამყაროა“.[1]

ტოლსტოიმ თვალწინ გადაგვიშალა ახალი სამყარო და ახალი ხალხი. თავისი უბადლო გენიის, თავისი ტალანტის სიწრფელითა და ხასიათის კეთილშობილებით იგი მთელი მსოფლიოს საუკეთესო მწერალთა აღმზრდელი და ნიმუში გახდა. მისი დიდება მწერლის დიდებას გასცდა და მოციქულის დიდებად იქცა.

„დიადი რუსული სული, რომლის ცეცხლი ასი წლის წინათ დაინთო დედამიწაზე, — სწერდა რომენ როლანი, — ჩემი თაობის ადამიანებისათვის ყველაზე ბრწყინვალე სინათლე იყო, რომელმაც მათი ახალგაზრდობა გააცისკროვნა. XIX საუკუნის მიწურულის მძიმე, დაბინდულ პერიოდში იგი გამოჩნდა მანუგეშებელ ვარსკვლავად, რომლის მზერა ჩვენს ჭაბუკურ სულს ხიბლავდა და ამშვიდებდა.

ტოლსტოიში ყველანი თავის თავს პოულობდნენ. იგი ყველას თავისებურად უყვარდა, მაგრამ ეს სიყვარული ყველასათვის იყო ურყევი გამოცხადება, უსასრულო სამყაროში შეღებული კარები“. როლანისა და მისი მეგობრებისათვის ტოლსტოი იყო არა მარტო აღტაცების საგანი, არამედ თაყვანისცემის, სინდისიერებისა და სიცოცხლის საგანი. „რაც შეგვეხება ჩვენ, — სწერდა როლანი, — ჩვენთვის ძალიან ცოტა იყო ტოლსტოის შემოქმედებით აღტაცება: ჩვენ ვცხოვრობდით ამ შემოქმედებით, იგი ჩვენი იყო. ჩვენი იყო თავისი მხურვალე ცხოველმყოფელობით, გულის სიჭაბუკით. ჩვენი იყო თავისი ირონიული გულგატეხილობით, თავისი ულმობელი პრინციპულობით, თავისი სიკვდილის საშინელებით. ჩვენი იყო თავისი ოცნებით, ძმური სიყვარულითა და მშვიდობით კაცთა შორის. ჩვენი იყო ცივილიზაციის სიცრუეთა მრისხანე მამხილებლობით, თავისი რეალიზმითა და მისტიციზმით, ბუნების ქროლვით, უხილავი ძალების შეგრძნებით, უსაზღვროებით დათრთობით“.

ტოლსტოი ახალი ლიტერატურის ჰომეროსი გახდა. მან მკვდრეთით აღადგინა ხელოვნების მარადიული ფორმები და კიდევ უფრო განავითარა ისინი. მისი რომანი თანამედროვე ეპოსია თავისი დიადი სრულყოფილობით, გულში ჩამწვდომი და აღმაფრთოვანებელი ძლიერებით. ანატოლ ფრანსი სწერდა: „ის რაც ანტიკურმა საბერძნეთმა შექმნა წელთა და საუკუნეთა შემოქმედებითი მისწრაფებით — ჰომეროსი, რუსეთში ბუნებამ ერთბაშად შექმნა, როცა წარმოშვა ტოლსტოი, დიადი ხალხის სული და ხმა, რომლის წყაროც წყურვილს დაუცხრობს საუკუნეთა განმავლობაში კაცობრიობის შვილებს, კაცთ და მოძღვართ“.

ტოლსტოი ა. ფრანსის აზრით, მეტია, ვიდრე რომელიმე მესია, იგი ჰომეროსია. „როგორც ეპიკური მწერალი, ტოლსტოი ჩვენი საერთო მასწავლებელია“, — ამბობდა განთქმული ფრანგი მწერალი 1912 წლის 12 მარტს სორბონში წარმოთქმულ სიტყვაში. „ტოლსტოი — ეს დიდი გაკვეთილია“. თავისი შემოქმედებით იგი გვასწავლის, რომ სილამაზეს წარმოშობს ცოცხალი და სრულყოფილი სიმართლე, როგორც აფროდიტეს წარმოშობს ზღვის სიღრმე. თავისი ცხოვრებით ტოლსტოი გააცხადებს სიწრფელეს და საზოგადოებრივი ბოროტების გმირულ მხილებას. „ტოლსტოი — ამბობდა იგი უფრო ადრე, 1910 წელს — გვაძლევს აგრეთვე უბადლო ინტელექტუალური კეთილშობილებისა, მამაცობისა და დიდსულოვნობის მაგალითს. იგი გმირული სიდინჯით, მკაცრი სათნოებით ამხილებდა დანაშაულებათ საზოგადოებისა, რომლის ყველა კანონი მიზნად ისახავს მხოლოდ მისივე უსამართლოებისა და თვითნებობის კურთხევას. და ამ მხრივ ტოლსტოი უკეთესია უკეთესთა შორის“.

საინტერესოა ა. ფრანსის აზრი ხელოვნებისადმი ტოლსტოის დამოკიდებულების შესახებ. როგორც ცნობილია, ბევრს ეგონა, რომ ტოლსტოი ჰგმობდა ყოველგვარ ხელოვნებას, მათ შორის თავის ხელოვნებასაც. ასე ფიქრობდა ი. ტურგენევიც კი. ხელოვნებისადმი ტოლსტოის დამოკიდებულების საკითხი აღელვებდა რ. როლანსაც, და იგი იყო ერთ-ერთი მთავარი საკითხი მისი პირველი აღფრთოვანებული წერილისა ტოლსტოისადმი 1887 წლის 16 აპრილის თარიღით, რომელსაც თვითონ ტოლსტოი „მშვენიერ წერილს“ უწოდებდა.

როლანი მხოლოდ მას შემდეგ დამშვიდდა, რაც ტოლსტოისაგან მიიღო პასუხი, საიდანაც გაიგო, რომ ტოლსტოი „ებრძვის არა ხელოვნებას, არამედ ჩვენი დროის ხელოვანთ“.

სორბონში წარმოთქმულ თავის სიტყვაში ანატოლ ფრანსი ამ საკითხს ასე სწყვეტს: „არა! ტოლსტოი ხელოვნებას როდი ჰგმობს. რაც უნდა სთქვას მან, რაც უნდა გააკეთოს მან, იგი არათუ ჰგმობს ხელოვნებას, არამედ ადიდებს მას და სახელს უქმნის! მაშინაც კი, როცა იგი უარჰყოფს მას, მხოლოდ ამკვიდრებს მას. იგი ამაოდ ცდილობდა განთავისუფლებულიყო მისგან. ხელოვნება მასშია, ხელოვნება ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი, ყოველი წვეთი მისი სისხლისა ხელოვნებით სჩქეფს“.

ცნობილი ფრანგი რომანისტი ვიქტორ მარგერიტი სწერდა: „მას შემდეგ, რაც „ომი და მშვიდობა“ და „ანა კარენინა“ გაჩნდა, ტოლსტოი განუწყვეტლივ გვაოცებდა, სინდისითა წყვდიადში ჩირაღდანივით ატარებდა რა სინათლის ნაკადებს, შეუჩერებელ ტალღებს სიყვარულისა, კეთილშობილური გულის წყრომისა, ულმობელი გონებისა და სამართლიანობისა... მისი სახელი მთელ მსოფლიოს თავზე დანათის“.[2] „ტოლსტოი, — ამბობს მარსელ პრევო, — მისი თაობის მწერლებისათვის იყო არა მარტო საუცხოვო მთხრობელი, პეიზაჟთა, ეპოქათა და ადამიანთა შემოქმედი, იგი იყო ამავე დროს ახალი მგრძნობელობის შემქმნელი“. ტოლსტოიმ, მისი აზრით, წარუშლელი ბეჭედი დაასვა თითქმის ყველა ფრანგ მწერალს. „თანამედროვე ფრანგი რომანისტებისა და დრამატურგების თითქმის არც ერთი ნაწარმოები არ იქნებოდა ის, რაც არის, — სწერდა იგი, — ტოლსტოი რომ არ ყოფილიყო. ეს დიდი რუსი მწერალი უდიდესი ფაქტია საფრანგეთის ლიტერატურაში“.[3] ოქტავ მირაბო სწერდა: „ჩემი სამშობლოს ზოგიერთი ამაყი მწერალი აცხადებდა, რომ თქვენ ბევრი რამეს უნდა უმადლოდეთ საფრანგეთს. მათ სურდათ თქვენ მიეჩნიეთ საფრანგეთის რევოლუციისა და სტენდალის აღზრდილად. მე კი ვამტკიცებ, რომ საფრანგეთი თვითონ არის თქვენი მოვალე. თქვენ მის მრავალსაუკუნოვან გენიაში გააღვიძეთ ახალი ცხოვრება“.

როგორც ლაზურსკი თავის დღიურში მოწმობს, ტოლსტოისათვის ჟარდენს უთქვამს, რომ მოპასანს „ივან ილიჩის სიკვდილის“ წაკითხვის შემდეგ განუცხადებია: „მე ვხედავ, რომ მთელი ჩემი მოღვაწეობა ფუჭია; რომ ყველა ჩემი ათეული ტომი არაფრად არა ღირს“. ტოლსტოის საფრანგეთში გავრცელებას მოწმობს ისეთი ფაქტიც, რომ იქ 24-ჯერ არის გამოცემული „ომი და მშვიდობა“ და 23-ჯერ „ანა კარენინა“.

ლევ ტოლსტოი „უდიდესი ფაქტია“ ინგლისურ ლიტერატურაშიც. არა მარტო ინგლისური ლიტერატურა, არამედ საზოგადოდ ინგლისის საზოგადოებრივი აზრიც „მოვალეა“ ტოლსტოის წინაშე. ტოლსტოიმ განუზომელი გავლენა მოახდინა ინგლისურ აზროვნებაზე. „ვერც ერთი ლიტერატორი, რომელიც სოციალურ, რელიგიურ ან ფილოსოფიურ თემაზე სწერდა, ვერ შეუვლიდა მას გვერდს“, სწერდა ინგლისელი ლიტერატურათმცოდნე ე. კრუზი. ინგლისელ მწერალთა, მეცნიერთა, მხატვართა, მუსიკოსთა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა წერილში რომელიც მათ გამოუგზავნეს ტოლსტოის 80 წლისთავზე, ნათქვამია: „ჩვენ და ბევრ ჩვენ თანამემამულეს, რომელნიც მრავალი წლის განმავლობაში ვპოულობდით თქვენს ნაწერებში კეთილშობილურ გრძნობათა და უდიდესი სიტკბოების წყაროს... გვსურს გამოვთქვათ ჩვენი განცვიფრება თქვენს წინაშე, როგორც ზნეობის მწერლისა და მასწავლებლის წინაშე. გამბედაობისა და სიწრფელის მეოხებით, რომლითაც თქვენ კაცობრიობას დაანახვეთ ახალი დიადი იდეალები, თქვენ გახდით მთელი მსოფლიოს საყვარელი მწერალი.

ჩვენ ვხედავთ, რომ თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ დროებას სურს აღიაროს თქვენი მრავალმხრივი შრომის სილამაზე და ჭეშმარიტება, და ჩვენ მოხარული ვართ, რომ თქვენს ნაწერებს ახლა უფრო მეტად კითხულობენ, ვიდრე ოდესმე. მათ თანაგრძნობით და სიყვარულით ეკიდებიან ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა შეხედულებისანი არიან, ისინი აღტაცებული არიან თქვენი შემოქმედებით სხვადასხვა თვალსაზრისით.

და აი ჩვენ ხელს ვაწერთ ამ წერილს, როგორც თქვენი კეთილისმსურველნი და მადიდებელნი, ზოგნი კი როგორც თქვენი მადლიერი მოწაფენი“.

იმ მწერალთა შორის, რომელნიც ხელს აწერენ ამ წერილს, არიან ტომას ჰარდი, მერედიტი, უელსი, ბერნარდ შოუ, ფილოსოფოსთაგან კი ფრედრიკ ჰარისონი. ტოლსტოის ძლიერი გავლენა ტომას ჰარდიზე საყოველთაოდ ცნობილია. ტოლსტოის ბევრი ნაწარმოების იდეები გამოიყენა ბერნარდ შოუმაც. 1910 წლის 14 თებერვალს ბ. შოუ ტოლსტოის სწერდა: რომ „წყვდიადის მეუფებამ“ განაცვიფრა და აღაფრთოვანა იგი. „და მე, — აღიარებდა იგი, — „ბლანკო პოზნეტში“ ჩემებურად გამოვიყენე დრამატული მასალის ეს უხვესი ოქროს მომცემი ძარღვი, რომელიც თქვენ პირველად უჩვენეთ თანამედროვე დრამატურგებს“. „ომისა და მშვიდობის“ და „ანა კარენინას“ ავტორმა დიდი გავლენა მოახდინა ჯონ გელსუორსზე (განსაკუთრებით ძლიერია ეს გავლენა რომანში „თქმულება ფორსაიტების შესახებ“).

ტოლსტოის პოპულარობა განსაკუთრებით გაძლიერდა ინგლისში ომის დროს. „ომი და მშვიდობა“ ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული წიგნია თანამედროვე ინგლისში. „ამ წიგნზე ისეთი დიდი მოთხოვნილებაა, — სწერს ლიტერატურული კრიტიკოსი, პოეტი და რომანისტი რიჩარდ ჩერჩი, — რომ, მიუხედავად დიდძალი ახლადგამოშვებული იაფი გამოცემისა, მისი შოვნა თითქმის შეუძლებელია“.

1944 წელს ამ სულ უფრო მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოვიდა დერიკ ლეონის წიგნი: „ტოლსტოი, მისი ცხოვრება და შემოქმედება“. ამ წიგნის გამოსვლის გამო ჟურნალი „ლისნერ“ სწერდა: „ტოლსტოი იყო არა მარტო ხელოვნებისა და ინტელექტის გიგანტი, ეს იყო ადამიანი გიგანტი“.

ფრანგულ და ინგლისურ ლიტერატურაზე გაცილებით უფრო მეტადაა „დავალებული“ გენიალური რუსი მწერლისაგან გერმანული ლიტერატურა. გერმანული ლიტერატურის ისტორიაში ტოლსტოი კიდევ უფრო „დიდი ფაქტია“. ტოლსტოის გავლენა გერმანულ ლიტერატურაზე განსაკუთრებული იყო როგორც თავისი მნიშვნელობით, ისე თავისი ხასიათით. გერმანულ ლიტერატურაზე ტოლსტოის ფართო გავლენა თანდათმთხვა ამ ლიტერატურის დაცემისა და კრიზისის პერიოდს. ბისმარკის პერიოდის გერმანული ლიტერატურა „მკვეხარა გადაგვარების“ პერიოდს განიცდიდა. მისი მკვეხარობა მისი დაცემულობის პროპორციული იყო. საუკეთესო მწერლებმა, რომლებსაც სული ეხუთებოდათ ამ ატმოსფეროში და გამოსავალს ეძებდნენ, თავიანთი თვალი მიაპყრეს ტოლსტოის მძლავრ და გამაცხოველებელ გენიას. ტოლსტოი მათ მიიჩნიეს გამოსავალად და მან განსაზღვრა მათი შემოქმედებითი გზა. ამრიგად, ტოლსტოის გავლენა გერმანულ ლიტერატურისათვის განმაახლებელი და მხსნელი იყო. იმ დროის გერმანელი პოეტი არნო ჰოლცი ამბობს:

„ზოლა და იბსენი, ლევ ტოლსტოი
ამ სიტყვებშია მთელი სამყარო“.

შემდეგ, როგორც ისტორიამ დაგვანახვა, ზოლასა და იბსენის გავლენამ თანდათან იკლო, ხოლო ტოლსტოის გავლენა წლითი-წლობით მატულობდა. და იგი არა მარტო ლიტერატურული, არამედ ზოგადკულტურული ხდებოდა. თვით ზოლას ნატურალიზმის დაძლევა მნიშვნელოვან წილად მოხდა ტოლსტოის გავლენით. ამიტომ გერმანულ ლიტერატურაში ლევ ტოლსტოის გავლენა არა მარტო „უდიდესი“, არამედ კოლოსალური ფაქტია. „ტოლსტოის პოეზიის“ ეს განმაახლებელი ძალა,—სწერს გერმანული ლიტერატურისა და ფილოსოფიის ისტორიკოსი გ. ლუკაჩი,—უნდა ითქვას, დასავლეთში ისე ძლიერად არსად არ იგრძნობოდა, როგორც გერმანიაში. XIX—XX ს. მიჯნაზე ყველა ნი-

(დასასრული მე- 4 გვ.)

(„ლიტ. და ხელოვნ.“ მე-8 გვ.)

---

[1] მ. გორკი. რუსული ლიტერატურის ისტორია, 1939, გვ. 296

[2] საერთაშორისო ალმანახი ტოლსტოის შესახებ, 1909, გვ. 109.

[3] იქვე, გვ. 271



აეროსტატი ცაზე. ნახ. ელ. ახვლედიანისა.

რუსული კლასიკური ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობა

(დასასრული)

ჰიერი ჰაბუკი გაკვეთილის დროს ტოლსტოის ნაწერებს კითხულობდა. ყველგან, სადაც გერმანული ლიტერატურა ახალი სიდიადისა და სრულყოფისაკენ ისწრაფოდა, იგრძნობოდა ტოლსტოის სულიერ-მორალური და სულიერ-მხატვრული გავლენა, რაც შორს სცილდება არტისტული მიბაძვის ფარგლებს".[4])

ჰიტლერელმა ბარბაროსებმა-კი გააპარტახეს ტოლსტოის მუზეუმი — კულტურის ეს დიადი ძეგლი.

მ. გორკი სწერდა, რომ ტოლსტოი, რომ თევზი ყოფილიყო, მაშინ ის მხოლოდ ოკეანეებში იცურებდა. ტოლსტოის ნაწარმოებებმა გადასცურეს ოკეანეები, დაიმორჩილეს მთელი მსოფლიო, მთელი მსოფლიო ლიტერატურა. მისი ნაწარმოებების მომჯადოებელ ძალას დაემორჩილნენ არა მარტო ევროპაში, არამედ ამერიკაშიაც, აფრიკაში და აზიაშიც. ტოლსტოის იაპონიურ ენაზე მთარგმნელი ნაომი კატო, აღნიშნავს რა ტოლსტოის მრავალმხრივ და ღრმა გავლენას იაპონლებზე, სწერს: „გაზვიადება არ იქნება ვუთხრათ მსოფლიოში გრაფ ტოლსტოის ყველა მეგობარს, რომ ჩვენი საყვარელი კოსმოპოლიტის გავლენამ დიდად შეუწყო ხელი იაპონიის სულიერი ცხოვრების გაღვიძებას და XIX საუკუნის შემდეგ იაპონიის ისტორიის ვერც ერთი მწერალი მხედველობიდან ვერ გაუშვებს, რომ ყოველ შემთხვევაში იაპონური აზროვნების ერთი ნაწილი ჩამოყალიბდა იმ იდეალების ფორმით, რომლებიც გამოთქმულია გრაფ ტოლსტოის ნაწარმოებებში".

ტოლსტოის შემოქმედების, განსაკუთრებით მის სოციალურ და რელიგიურ შეხედულებათა ფართო გავრცელება ინდოეთში საყოველთაოდ ცნობილია.

ნაბიჯი წინ, რომელიც, ლენინის სიტყვით, ტოლსტოიმ გადადგა მთელი კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში, მხატვრული რეალიზმის განვითარებაში მდგომარეობდა. ტოლსტოიმ, რუსული და მსოფლიო ლიტერატურის რეალიზმის დიად ტრადიციებზე დაყრდნობით, რეალიზმი აიყვანა ახალ, უმაღლეს საფეხურზე. მან ევროპის ლიტერატურაში შეიტანა გამდიდრებული რეალიზმი იმ პერიოდში, როცა იქ ეს მეთოდი შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ პირობათა გამო დავიწყებას მიეცა.

ვ. ი. ლენინმა ტოლსტოის შესახებ თავის გენიალურ სტატიებში გამოავლინა ტოლსტოის მსოფლიო მნიშვნელობის სოციალური საფუძვლები. ლენინი სწერდა: „რევოლუციის მომზადების ეპოქა მებატონეთა მიერ დაბეჩავებულ ერთ-ერთ ქვეყანაში, ტოლსტოის გენიალური გაშუქების წყალობით, გამოვიდა როგორც ნაბიჯი წინ მთელი კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში".

მთელი კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში ტოლსტოის მიერ წინ გადადგმული ნაბიჯი, მისი რეალიზმი შეპირობებული იყო რუსეთში რევოლუციის მომზადების ეპოქით. ამ ეპოქაში ნიშანსვეტებივით აღმართულა ორი თარიღ —1861 წელი, ბურჟუაზიულ რეფორმათა დასაწყისი, რომელთაც თვითონ მებატონენი ატარებდნენ, და 1905 წელი — წელი „გლეხური, ბურჟუაზიული რევოლუციისა კაპიტალიზმის მეტად მაღალი განვითარების ეპოქაში მთელ მსოფლიოში და შედარებით მაღალი განვითარებისა რუსეთში". ასახავდა რა ამ ეპოქას, ტოლსტოი, ლენინის სიტყვით, „რუსეთის რევოლუციის სარკე" გახდა.

ასეთი მოძრაობა და პერსპექტივა არ ყოფილა ევროპის მოწინავე ქვეყნების წინაშე და ამიტომ მათ არა მარტო ვერ შესძლეს შეექმნათ მხატვრული რეალიზმი, ტოლსტოის რეალიზმის შესადარი, არამედ 1848 წლის შემდეგ აშკარად იწყეს რეალიზმისაგან დაშორება ლიტერატურაში. ჭეშმარიტად, ისტორიაში გვიან მოსულთ ხვდებათ არა ძვლები, არამედ ნოყიერი ულუფა.

მაგრამ რუსეთში რევოლუციის მომზადების ეპოქა ტოლსტოიმ თავის შემოქმედებაში ასახა მთელი თავისი ძლიერი და სუსტი მხარეებით. ამის გაუთვალისწინებლად ვერ გავიგებთ ვერც მხატვარ ტოლსტოის, ვერც მოაზროვნე ტოლსტოის, ვერც მისი შემოქმედების აშკარა წინააღმდეგობათ.

„ტოლსტოი უმთავრესად 1861-1904 წლების ეპოქას ეკუთვნოდა, — სწერდა ლენინი, — მან საოცარ რელიეფურად განასახიერა თავის ნაწარმოებებში — როგორც მხატვარმა, როგორც მოაზროვნემ და როგორც მქადაგებელმა—რუსეთის მთელი პირველი რევოლუციის ისტორიული თავისებურების ნიშნები, მისი სიძლიერე და მისი სისუსტე".

იმის ნათელსაყოფად, თუ რა მკაფიოდ და ოსტატურად განავითარა ტოლსტოიმ რეალიზმი, აღვნიშნავთ მისი შემოქმედების ერთ ნიშანს, რომელიც იმთავითვე და პირველად შეამჩნია ჩერნიშევსკიმ და შემდეგ დაადასტურა კრიტიკამ. ეს არის ტოლსტოის უნარი დაგვანახოს ადამიანის სულის მუდმივი მოძრაობა და ცვლილება, ან როგორც ჩერნიშევსკი ამბობს, დაგვანახვოს ადამიანის სულის დიალექტიკა. 1856 წელს ჩერნიშევსკი, ლ. ტოლსტოის „ბავშვობისა და ყრმობის" და „ომის მოთხრობების" გამოსვლის გამო, ანალიზს უკეთებდა რა ტოლსტოის შემოქმედების თავისებურებებს, რომლებიც მას სხვა მწერლებისაგან განასხვავებენ, სწერდა: „გრაფ ტოლსტოის ტალანტის თავისებური ნიშანი,—რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობდით, იმდენად ორიგინალურია, რომ საჭიროა დიდი ყურადღებით დავაკვირდეთ მას და მხოლოდ მაშინ გავიგებთ მთელ მის მნიშვნელობას მის ნაწარმოებთა მხატვრული ღირსებისათვის. ფსიქოლოგიური ანალიზი თითქმის ყველაზე არსებითი ნიშანია, რომელიც ძალას ანიჭებს შემოქმედებას, ტალანტს. მაგრამ ჩვეულებრივ მას, თუ შეიძლება ასე ითქვას, აქვს აღწერითი ხასიათი, იღებს განსაზღვრულ უძრავ გრძნობას, დაშლის მას შემადგენელ ნაწილებად, გვაძლევს მის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ანატომიურ ცხრილს... გრაფ ტოლსტოის ტალანტის თავისებურება ის არის, რომ იგი არ სჯერდება ფსიქიკური პროცესის შედეგთა გამოსახვას, მას აინტერესებს თვითონ პროცესი, და ამ შინაგანი ცხოვრების ოდნავ შესამჩნევ მოვლენებს, რომლებიც ერთმანეთს სცვლიან არაჩვეულებრივი სისწრაფითა და ნამდვილი ნაირსახეობით, მწერალი დიდი ოსტატობით გვიხატავს".

„აღდგომაში" თვითონ ტოლსტოი ამბობს: „ადამიანები მდინარეს მოგვაგონებენ: წყალი ყველგან ერთნაირი და ერთი და იგივეა, მაგრამ ყოველი მდინარე ხან ვიწროა, ხან ჩქარი, ხან განიერი, ხან წყნარი, ხან ანკარა, ხან ცივი, ხან მღვრიე, ხან თბილი. ასეა ადამიანებიც. ყოველ ადამიანს მოეპოვება ყველა ადამიანური თვისებათა ჩანასახები და ზოგჯერ გამოავლენს ერთს, ზოგჯერ მეორეს, და ხშირია, რომ ადამიანი თავის თავს არა ჰგავს, თუმცა სულ ერთი და იგივე რჩება".

რეალიზმის მრავალრიცხოვან მტრების ძირითადი ბრალდება, თითქოს მას არ ძალუძს ადამიანის სულიერი ცხოვრება მის ცოცხალ მოძრაობასა და ცვლილებაში ასახოს, არამედ შეუძლია მოგვცეს მხოლოდ ადამიანის სულის მკვდარი ფოტოგრაფია, ტოლსტოიმ სამუდამოდ უკუაგდო. ამავე დროს მან თავისი შემოქმედებით უარყო იმპრესიონისტული დაყოფა ადამიანის სულისა ცალკე მომენტებად.

ტოლსტოი გასაოცარი ოსტატობით გვიხატავს ადამიანის სულის მარადიულ ცვალებას, ქმნადობასა და ქცევას, ხოლო ამავე დროს გვაძლევს მის მთლიან სახეს. მისი რეალიზმი აქ განაყოფიერებულია დიალექტიკით.

ტოლსტოის შემოქმედება უბრალოა თავისი სიდიადით და სიბრძნით; იგი სუნთქავს ღრმა ადამიანურობით და კეთილშობილებით, სიმართლითა და მამაცობით.

თვითონ ტოლსტოი თავის „ომი და მშვიდობის" შესახებ ამბობდა: „ყალბი თავმდაბლობის გარეშე"—ეს „ილიადას" ჰგავს.

ლევ ტოლსტოი, საყოველთაო აღიარებით, ახალი ლიტერატურის ჰომეროსია. ამით განისაზღვრება მისი მსოფლიო ისტორიული და წარუვალი მნიშვნელობა.

---

[4]) გ. ლუკაჩი. „ჰუმანიზმისა და ბარბაროსობის ბრძოლა", 1943, გვ. 32-35.

შალვა ბუაჩიძე

ქართული ესტრადის თეატრი

საქართველოს ფილარმონიასთან დაარსდა ქართული ესტრადის თეატრი, რომელიც ძირითადად მარჯანიშვილის სახელობის თეატრის წამყვან მსახიობთაგან შესდგება. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია ქ. კვანტალიანი. პირველ პროგრამაში, რომელიც რვა დღის განმავლობაში მიდიოდა ფილარმონიის საზაფხულო თეატრში, მონაწილეობდნენ ჩვენი სცენის ისეთი ოსტატები, როგორიც არიან ს. თაყაიშვილი, ს. ჟორჟოლიანი, გ. შავგულიძე, ქ. კვანტალიანი, ა. გომელაური, ა. ომიაძე. მათ გვერდით გამოდიოდნენ მსახიობი-ქალები ლ. ვაჩნაძე, მ. დავითაშვილი, ე. ბარბაქაძე.

თუ ვიმსჯელებთ იმ ინტერესის მიხედვით, რომელიც ამ თეატრის დაარსებამ გამოიწვია, უნდა ვსთქვათ, რომ ესტრადის თეატრს დიდი მომავალი აქვს. მიზეზი ამისა თვით ესტრადის ბუნებაში უნდა ვეძიოთ. კინოს შემდეგ ესტრადა ყველაზე მასობრივი ხელოვნებაა. ის მოიცავს (რასაკვირველია, მცირე ფორმით) სანახაობის ყველა სახეს, დაწყებული საცირკო ატრაქციონით და გათავებული ოპერით.

ესტრადა გულისხმობს ჟანრთა მრავალ სახეობას. საესტრადო პროგრამა უნდა შეიცავდეს გონებამახვილ ფელეტონსაც, საინტერესო მოთხრობასაც, მხიარულ სკეტჩსაც, დრამატიულ მინიატურასაც, ლირიკულ სიმღერასაც, ქორეოგრაფიულ ეტიუდსაც, მწვავე სატირასაც, მოხდენილ პაროდიასაც. თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ქართული ესტრადის თეატრის პირველ პროგრამას, უნდა შევნიშნოთ, რომ იგი ვერ ამართლებს თეატრის სახელწოდებას. ეს უფრო მინიატურების თეატრია, ვიდრე ესტრადის თეატრი. ესტრადა აქ მკრთალად არის წარმოდგენილი. პროგრამაში ვერ ვხედავთ სიმღერას და ცეკვას, რაც აუცილებელია ყოველი საესტრადო სპექტაკლისათვის.

მაგრამ სახელწოდებას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. ჩვენთვის მინიატურების თეატრიც ისევე საჭიროა, როგორც ესტრადის თეატრი. ორივეს არსებობის აუცილებლობა სავსებით მომწიფებულია. ამიტომ ისეთი თეატრის წარმოშობა, რომელიც შექმნის მახვილ სადღეისო რეპერტუარს, გამოეხმაურება დღევანდელი დღის ამბებს, რომელიც მხიარულ ხუმრობასთან ერთად მიაწოდებს მაყურებელს მძაფრ სატირას მტრებზე, თანამედროვე პიესასთან ერთად გაითამაშებს მოსწრებულ მინიატურას, — ასეთი თეატრის შექმნა დროული და მისასალმებელია.

ესტრადის თეატრის პირველ პროგრამას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, მასში არის კარგიც და სუსტი ნომრებიც, არის ისეთებიც, რომელთა ამოღებით პროგრამის მხატვრული ღირებულება თუ გაიზრდება, თორემ არაფერს დაჰკარგავს. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის „სამშობლო ხევსურისა", „ცოცხი" და „ბეკო". რაკი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობამ საჭიროდ სცნო პროგრამის „სამშობლო ხევსურისა"-თი დაწყება, ისიც მუსიკაზე გადატანით, საჭირო იყო ამისათვის ღირსეული შემსრულებლების გამოძებნაც. ქ. კვანტალიანი და ა. გომელაური უდავოდ ნიჭიერი მსახიობები არიან, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ისინი დრამატიული თეატრის აქტიორები არიან და არა მომღერლები. ცხადია, მათი „დუეტი" ვერც მოახდენდა შესაფერ შთაბეჭდილებას.

აშკარა სუსტ ნომრებთან ერთად არის ლიტერატურული ტექსტები, სადაც რეჟისორის ფანქარი იყო საჭირო. ასეთია, მაგალითად, „კალისტინა ლაშხი". უფერულია კონფერანსი. თეატრს რთული ამოცანა დაუსახავს მიზნად: მას სურს შექმნას რაღაც მოჩვენებითი სიუჟეტური მთლიანობა (მაშინ როდესაც პროგრამაში წარმოდგენილი მასალა ამის საშუალებას არ იძლევა) და ამ მიზნით ისეთი სიტყვებით აკავშირებს ერთ ნომერს მეორესთან, რომ მაყურებელმა აღარ იცის, სად თავდება ერთი სცენიური ნაწარმოები და სად იწყება მეორე. „ლურჯ ხალათიანობის" ეს რეციდივები ანელებენ მხატვრულ შთაბეჭდილებას. კონფერანსის თეატრალიზაციის პრობლემა ასე მექანიკურად ვერ გადაწყდება. საესტრადო სპექტაკლის ეს კომპონენტი მოითხოვს დიდ შრომას და შემოქმედებით ტაქტს როგორც მსახიობისაგან, ისე ავტორისაგან.

მაყურებლის ყველაზე მეტი მოწონებით სარგებლობენ მ. ჯაფარიძის სკეტჩი „სხვა სხვის ომში ბრძენია", ამავე ავტორის „ორი ბილეთი" (რუსულიდან გადმოკეთებული) და „როსტომ ბრძენი" (სერვანტესიდან გადმოქართულებული), ვ. პატარაიას მინიატურები „მატარებელში" და „კბილის ექიმთან", კ. გოგიაშვილის ხუმრობა „რესტორანში" და მისი კუპლეტები „ომია, ჩემო ძმაო!" ამ უკანასკნელის მაგალითზე ნათლად სჩანს, თუ რამდენ მნიშვნელოვანია ესტრადაზე კუპლეტები. ეს უნდა გაითვალისწინონ ესტრადის თეატრის ავტორებმა და შემდეგში კუპლეტები ორგანიულად ჩააქსოვონ სკეტჩებისა და ვოდევილების ტექსტში.

პოლიტიკური სატირა პროგრამაში წარმოდგენილია ლ. ნიკულინის დრამატიული ეტიუდით „საიდუმლო პაკეტი" (თარგმანი მ. დავითაშვილისა). პიესა ყურადღებას იპყრობს თემის აქტუალობითა და მოქმედების დაძაბული განვითარებით. „საიდუმლო პაკეტი" მოწმობს, რომ ასეთი ხასიათის ნაწარმოებების შეტანა საესტრადო პროგრამაში სავსებით გამართლებულია.

ესტრადა რთულ მოთხოვნებს უყენებს შემსრულებლებს. საჭიროა დიდი ნიჭი, მახვილი მგრძნობიერება და ზომიერების გრძნობა, რომ არ გადალახო ის ზღუდე, რომლის იქითაც უკბილო ხუმრობა და უგემური მანჭვა-გრეხა იწყება. ნიჭი და ტაქტი საკმაოდ ახასიათებს ესტრადის თეატრის მსახიობებს — ს. თაყაიშვილს, ს.ჟორჟოლიანს, გ.შავგულიძეს, ქ. კვანტალიანს, ა. გომელაურს, ა. ომიაძეს და სხვებს. მთელი რიგი მინიატურები და სკეტჩები ოსტატურად არის გათამაშებული. სამწუხაროდ, ეს ოსტატობა, აქტიორული შესრულების ეს დახვეწილობა არ სჩანს მთელი პროგრამის მანძილზე. შესამჩნევია რეჟისორის ფანტაზიის სიღარიბე. დეკორატიულ მხატვრობაში იგრძნობა ტონალობათა შეუფარდებლობა. არც კომპოზიტორის ნამუშევარია მკაფიო და ეფექტური. მთელს პროგრამაში არ არის არცერთი სიმღერა, რომელმაც შესძლოს თეატრის ფარგლების გადალახვა და ხალხში გასვლა. კომპოზიტორის მუშაობა კი ასეთი ჟანრის თეატრში სწორედ ამ მიზანს უნდა ისახავდეს.

როგორც ვხედავთ, ესტრადის თეატრის პირველ პროგრამას ბევრი ხარვეზი აქვს. მაგრამ გვაძლევს თუ არა ეს უფლებას შუბლშეჭმუხნილი შევხვდეთ ამ ახალ წამოწყებას? მე მგონია, არა. ამ თეატრის უგულებელყოფა სწორი არ იქნებოდა. ყოველი ახალი საქმის დაწყება—გრძელი და რთული პროცესია. ის ფაქტი, რომ ესტრადის თეატრს შერჩეული ჰყავს მტკიცე აქტიორული შემადგენლობა, შემოკრებილი ჰყავს თავის ირგვლივ ნიჭიერი ავტორები — მისი ზრდის საწინდარია. დასაწყისი არ არის ცუდი. შემდეგისათვის საჭიროა მეტი თემატიური მრავალფეროვნება და უფრო ზუსტი მუშაობა თეატრის ძირითად მასალაზე: ხუმრობა-მინიატურაზე. თეატრის ღონისძიებანი მიმართული უნდა იყოს არა შემთხვევითი კურიოზების ასახვისაკენ, არამედ მწვავე, აქტუალურ, საზოგადოებრივად მნიშვნელოვან თემებზე აგებულ მინიატურების გასცენიურებისაკენ.

იმ აქტიორებით და დრამატურგებით, რაც ესტრადის თეატრს გააჩნია, შეიძლება პირველხარისხოვანი პროგრამის შექმნა.

ბიბლიოგრაფია

ი. გოგებაშვილი—„ერეკლე მეფე და ინგილო ქალი"

საბლიტგამმა კ. ჭანტურიშვილის რედაქტორობით გამოსცა ი. გოგებაშვილის „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი". ეს პატარა ნოველა, რომელშიც მოთხრობილია ერეკლე მეფისა და ინგილო ქალის ამბავი, უფრო მიმზიდველი და საინტერესო ხდება ეხლა, როდესაც სამამულო ომის პერიოდში მასობრივი მკითხველი უღრმესი ინტერესით ხვდება ჩვენი გმირული წარსულის ყოველი ეპიზოდის მხატვრულ გადმოცემას.

ერეკლე არა მარტო უბადლო მებრძოლი იყო, არა მარტო შეუდარებელი სარდალი, არამედ უკეთილშობილესი ადამიანი, ხალხის მამა. იგი დიდისა თუ პატარისათვის, ყველასათვის ერთნაირად ზრუნავდა. ეს მომენტი ოსტატურად გამოიყენა ი. გოგებაშვილმა და დაუკავშირა ხალხურ თქმულებას. ამ ნიადაგზე წარმოიშვა მისი „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი".

მწერალი ლამაზი, ბავშვისათვის გასაგები ენით გადმოგვცემს ძლევამოსილი ქართველი ჯარის დაბრუნებას ლაშქრობიდან. ჯარს წინ მოუძღვის ერეკლე მეფე სპარსული ქუდით. ინგილო გოგონამ, რომელიც ამ დროს ხეზე ქლიავს მიირთმევდა, ნიშანში ამოიღო სპარსული ქუდი და ზევიდან მთელი ბღუჯა ქლიავი გადმოაყარა თავზე. მეფეს გაუკვირდა, მხლებლებიც შეწუხდნენ, ინგილო გოგონამ კი თავი იმართლა: „ეგ რომ ჩვენი სახელოვანი მეფე იყოს, განა სპარსულს ქუდს თავზე დაიხურავდაო?". ერეკლეს მოეწონა გოგონას პასუხი: „ყოჩაღ, ქალო, ქართველი მეფე გარეგნობითაც ქართველი უნდა იყოს, ჩინებული დარიგება მომეცი შენ მაგ ქლიავის სროლითო"; მეფემ ქუდი მოიხადა. გოგონა ღირსეულად დაასაჩუქრა. გოგონაზე ამ ამბავმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა: „მეფე ერეკლეს გაუმარჯოსო", დაიძახა მან წკრიალა ხმით. მეფემ პასუხად შეაგება: „ქართველ ქალსაც გაუმარჯოს", ასე გათავდა მათი შეხვედრა.

გოგონა გაიზარდა, ჭკუითა და გონებით აღივსო, მას ყოველთვის აგონდებოდა ეს შეხვედრა მეფესთან. კვლავ ენატრებოდა ენახა გმირი ერეკლე.

და აი, როცა ინგილო გლეხი ქორწილს იხდიდა, ერეკლეს არ დავიწყნია ინგილო ქალი. მას გაუგზავნა საჩუქრები, მზითევი.

ინგილო გოგონა, მართლაც, რომ ნამდვილი ქართველი ქალი დადგა. მისი ორი შვილი, მამაცი ვაჟკაცები გმირულად დაიღუპნენ კრწანისის ველზე, სამშობლოსათვის ბრძოლაში. როცა დედამ მათი სიკვდილის ამბავი გაიგო—მწუხარედ წარმოსთქვა: „ნუ გაუხარდება მტრებს, ღვთის წყალობით, მე კიდევ მყავს ოთხი ვაჟი და ორი ქალი. მე მათ დავზრდი უფრო უკეთეს, უფრო გულმხურვალე მამულიშვილებად... და ისინი სხვა ქართველ დედების აღზრდილ მამულიშვილებთან ერთად ჩვენს საქართველოს დააყენებენ ბედნიერს გზაზე".

ი. გოგებაშვილის „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი" სიამოვნებით იკითხება. წიგნი დასურათებულია მხატ. ს. მაისაშვილის მიერ.

მარიამ კვაჭაძე

„ზაქარია ფალიაშვილის როლი ქართული მუსიკის განვითარებაში"

რამდენიმე დღის წინათ შესდგა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის კათედრის ღია სხდომა. განხილულ იქნა პროფ. ვლ. დონაძის მოხსენება თემაზე: „ზაქარია ფალიაშვილის როლი ქართული მუსიკის განვითარებაში". განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ისტორიული და თეორიული კათედრების დოცენტებმა და პედაგოგებმა: ა. მშველიძემ, პ. ხუჩუამ, ლ. ფალიაშვილმა, ქ. ლორთქიფანიძემ, ა. ბეგიჯანოვმა და სხვ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მუსიკის ისტორიის და თეორიული კათედრების გაერთიანებულმა სხდომამ პროფ. ვ. დონაძის შრომა შეაფასა, როგორც მნიშვნელოვანი მოვლენა ქართული მუსიკისმცოდნეობაში, როგორც ღრმა მეცნიერულ ანალიზზე დამყარებული გამოკვლევა ზ. ფალიაშვილის შემოქმედებისა. სხდომამ საჭიროდ სცნო პროფ. დონაძის შრომის თარგმნა რუსულ და ინგლისურ ენებზე.

მეჩონგურე ქალთა ანსამბლის კონცერტები ერევანში

ივლისის ბოლო რიცხვებში ქ. ერევანში მოეწყო მეჩონგურე ქალთა ანსამბლის რამდენიმე კონცერტი ხელოვნების დამს. მოღვაწის ალ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით. მხურვალე შეხვედრა მოუწყო ანსამბლს ერევნის თეატრალურმა საზოგადოებამ. კონცერტები წარმატებით ჩატარდა. მსმენელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხურმა საჩონგურო სიმღერებმა.

ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი

გულქართლი — პრდ. ქართლელის გულის პატრონი. **გდტ.** პურადი, მოყვასისათვის გაჭირვებისას ხელის გამწოდებელი, გულუხვი, სტუმართმოყვარე, მართალი, პატიოსნების მოყვარე. **შეად.** „მეჭურჭლე გიოვ, შენ გეტყვი, **გულქართლი** ხარ და მართალი". (**გ. ლეონიძე**—„ბელადის ყრმობა", ეპოპეა, 88).

ქართლი, საქართველოს სხვა ნაწილებთან შედარებით, იმთავითვე განთქმული იყო პურის მოსავლითა, ქართლელთა პურადობითა და გულუხვობით. სახელი გულქართლი, გამოთქმული ფშაველთაგან, რომელთა შორისაც იგი ფრიად გავრცელებული ყოფილა, როგორც ამას მოწმობს თედო რაზიკაშვილი თავის ლექსიკონში, ცხადია, სწორედ ამიტომ დარქმევია ქართლელს და იგივე სიტყვა სწორედ ამიტომ გადაქცეულა სინონიმად პურადობისა და სტუმართმოყვარეობისა, გაჭირვებულისათვის ხელის გაწვდენისა, მოყვასის გაკითხვისა და პატიოსნობისა.

გუთნის გაშლა — პრდ. მიწა, რომელზედაც გუთანი და შიგ შებმული ხარკამეჩი გაიფინება. **გდტ.** ოთხასი (დაახლოებით) კვადრატული მეტრის ფართობი სახნავი მიწისა. **შეად.** „ქალებს დასტრევთ კუდები თითო **გუთნის გაშლაზე,** წინ ჯიბე, უკან ჯიბე, კიდევ ჯიბე ბაშლაყზე". (**რ. ერისთავი,** IV, 380) **შეად.** „ეს პიკეტის ადგილი სულ ახლოა, რომ ორის **გუთნის გაშლაც** არ იქნება". გრ. ორბელიანი „წერილები", II, 53).

აღმოსავლეთ საქართველოში მიწის მოსახნავად გუთანში რვა უღელ ხარ-კამეჩს უბამდნენ. გუთანში შებმულებს, რომ გაამწკრივებდნენ ჭაპნის გასაწევად, მიწის იმ ფართობის სივრცეს, რომელზედაც ხარები არიან გაჭიმული ანუ რომელზედაც გუთანია (იგულისხმე: თვით სახნავი იარაღი და მის გასაწევად შიგ შებმული საქონელი) გაფენილი, გაშლილი, ეძახიან **გუთნის გაშლას,** რაიცა დაახლოვებით უდრის 400 კვადრატულ მეტრს. ესე რომ **გუთნის გაშლა** ძველად იყო მიწის ზედაპირის ერთგვარი ზომა და ითვლებოდა ამ ზედაპირის სულ მცირედ რაოდენობად. სულ ღარიბ და სახნავ-სათეს მიწის უქონელ გლეხზე იტყოდნენ ხოლმე: ერთი გუთნის გაშლა მიწაც არ აბადიაო.

გუნდრუკის კმევა — პრდ. საკმევლის კვამლის მიდენა. **გდტ.** გამორჩენის აზრით, ვისიმე ქება-დიდება, მლიქვნელობა, პირმოთნეობა, მაცდურობა. **შეად.** „მთელი ეს მეთაური იმ აზრზეა აშენებული, რომ დაამტკიცოს „ივერიის" კონსერვატორობა და უვარგისობა, მისი უთავმოყვარეობა, ილია ჭავჭავაძის უნებობა, თავადაზნაურობისათვის მის მიერ **გუნდრუკის კმევა** და სხვა ამისთანები". (**ი. ჭავჭავაძე**—IX, 115).

გუნდრუკი ანუ საკმელი იგივე სურნელოვანი ფისია, რომელიც სხვადასხვა ხეს გამოუდის. საუკეთესო საკმელი არაბეთიდან მოდის. საკმელი სუნს გამოსცემს, როცა საცეცხლურის გაღვივებულ ნახშირზე დაჰყრიან და აკვამლდება. საკმელს ხმარობდნენ ეკლესიებში, როცა ხატებს საცეცხლურით უკმევდნენ მღვდელნი და მთავარნი მღვდელმსახურების დროს იმ აზრით, რომ ხატებს კარგი სასიამოვნო სუნი მიედინოთ, ემოთ და წყალობა მოიღონ მორწმუნეთა ზედაო.

ცხოვრებაში გადატანითაც გუნდრუკის კმევა გვიქვია მლიქვნელობისა და პირფერობისათვის, როცა ვისმე დაუმსახურებლად ვაქებთ და ვადიდებთ, ქათინაურები არ გვეზოგება მის მიმართ იმ აზრით, რომ მისი გული მოვიგოთ და ჩვენს სასარგებლოდ სამოქმედოდ გამოვიწვიოთ.

დაბალი ღობეა—პრდ. ღობე, რომელიც მაღალი არ არის, რომელზე გადაბიჯება ყველას შეუძლია. **გდტ.** ყველასაგან დაბრიყვებული, ყველასაგან დაჩაგრული. **შეად.** „**ქვრივი** (თავის მაზლს) — აკი გითხარ, **დაბალი ღობე** ვნახა-მეთქი! რატომ ამ გლეხკაცს არ დაუბრუნა ვენახი, თუ აგრეა?". (**ილია ჭავჭავაძე**—II, 282).

ეს ცნება ნათელი გამომხატველია რევოლუციამდელი ღატაკი გლეხკაცის ყოფისა, როცა გლეხს საკმაო მასალა არა ჰქონდა მაღალი ღობისათვის, თავის სახლკარსა და ავლადიდებას დაბალ ღობეს ავლებდა, ამ ღობეზე ყველას შეეძლო გადასვლა, როგორც ადამიანს, ისე საქონელს. ასე რომ გლეხის სახლკარი და ქონება ძალიან სუსტად იყო უზრუნველყოფილი ცუდი მეზობლის მხრივ წართმევისა და მითვისებისაგან.

კიდეც ამიტომ იყო ზემოთ-მოყვანილი თქმა გამომხატველი დაჩაგვრისა, დაბრიყვებისა და ყველასაგან ყბადაღებისა. როცა იტყოდნენ, მავანი დაბალი ღობეაო, იგულისხმებოდა, რომ იმას ყველა სჩაგრავდა და ის კიდევ იძულებული იყო მოეთმინა, რადგან თავზეით ძალა არა ჰქონდა დამჩაგვრელისათვის შესაფერისი პასუხი გაეცა.

თედო სახოკია

თათბირი დრამატურგთა სექციის მუშაობის შესახებ

ამ დღეებში შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა დრამატურგთა სექციის მუშაობა.

ამხ. ს. ჩიქოვანის შესავალი სიტყვის შემდეგ დრამატურგთა სექციის მუშაობის მოკლე ანგარიშით გამოვიდა სექციის თავმჯდომარე შ. დადიანი. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ნინო ნაკაშიძემ, დ. ბენაშვილმა, გ. შატბერაშვილმა, გრ. ბერძენიშვილმა, ბ. ჟღენტმა, ა. ვასაძემ, გრ. ნუცუბიძემ, ს. მთვარაძემ, ს. კლდიაშვილმა, ე. ასტვაცატუროვმა, ა. ხორავამ, ს. შანშიაშვილმა, მ. დუდუჩავამ, ი. ვაკელმა.

თათბირზე აღინიშნა, რომ დრამატურგები სუსტად მუშაობენ. მართალია, გვაქვს რამდენიმე თანამედროვეობის ამსახველი პიესა, მათ შორის კავკასიის დაცვის თემაზე ახლახან გამოქვეყნებული ს. კლდიაშვილის „ირმის ხევი", მაგრამ თეატრების მოთხოვნილება გაცილებით მეტია. სამამულო ომის მღელვარე დღეები, ფრონტზე წითელი არმიის მებრძოლთა თავდადება და ზურგში მუშების, კოლმეურნეების და ინტელიგენციის გმირული შრომა მოითხოვს ჯეროვან ასახვას ჩვენი თეატრების სცენაზე.

თანამედროვეობის ამსახველი რეპერტუარის გარეშე თეატრები ვერ გასწვდებიან დასახულ ამოცანებს. თანამედროვე ორიგინალური პიესების ნაკლებობა შეაფერხებს სასცენო ხელოვნების, აქტიორული შემოქმედების ზრდას.

დრამატურგებიც და თეატრებიც ზედმეტად არიან გატაცებული ისტორიული თემებით. დრამატურგები თითქმის მთლად ერიანად ისტორიული წარსულის ასახვაზე გადავიდნენ. ეს კი საზიანოა ორიგინალური დრამატიული მწერლობის განვითარებისათვის. სცენაზე უმთავრესად თანამედროვე ადამიანის ხასიათის, მისი ბრძოლისა და შრომის გამოხატვას უნდა ვხედავდეთ.

თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რაიონული თეატრების რეპერტუარს. აღინიშნა, რომ რაიონული თეატრების სცენაზე ფართო გასავალი მისცემია ნაუცბადევად დაწერილ, იდეურად სუსტ და მხატვრულად უმწეო პიესებს. მწერალთა საზოგადოებრივი აზრი არ მონაწილეობს რაიონული თეატრებისათვის განკუთვნილ პიესების განხილვაში.

მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ს. ჩიქოვანმა შეაჯამა რა თათბირის მუშაობა—მწერალთა კავშირის გადაუდებელ ამოცანად მიიჩნია დრამატურგთა სექციის გადახალისება და მისი მუშაობის გამოცოცხლება. თათბირმა დრამსექციის მუშაობის გასაცხოველებლად დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი: გადარჩეულ იქნება სექციის ბიურო, სექცია განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდება შემოქმედებითი მუშაობის გაშლას თანამედროვების თემებზე, ყოველი ახალი პიესა, ვიდრე ის წარდგენილი იქნება თეატრებსა და რეპერტკომში, წაკითხული და განხილული იქნება დრამსექციაში, დრამსექცია განსაკუთრებულ ყურადღებით მოეკიდება მცირე ფორმების დრამატიულ მწერლობას, პიესების თარგმნის ხარისხს. თბილისის თეატრების ყოველი ახალი დადგმის გარშემო გაიმართება დისკუსიები, ჟურნალ-გაზეთებში სისტემატიურად გაშუქდება ქართული ორიგინალური დრამატურგიის შემოქმედებითი საკითხები.

ქრონიკა

ქართული სიმფონიური კონცერტები

ამჟამად საქართველოს რადიოკომიტეტის ორკესტრი ამზადებს ქართველი კომპოზიტორების რამდენიმე სიმფონიას. უახლოეს ხანში ამ ორკესტრის მიერ შესრულებული იქნება ა. ბალანჩივაძის პირველი სიმფონია, კ.გუდ ა-შვილის პირველი სიმფონია და შ. მშველიძის მეორე სიმფონია. უახლოეს რადიოგადაცემათა პროგრამაში შეტანილია აგრეთვე რ. გაბიჩვაძის სიმფონიური პოემა „გამზრდელი", ა. ბუკიას პირველი სიმფონია, ა. მაჭავარიანის საფორტეპიანო კონცერტი და ქართველ კომპოზიტორთა სხვა ნაწარმოებები.

საქ. რადიოკომიტეტის ორკესტრის მთავარ დირიჟორად მიწვეულია ამხ. შ. აზმაიფარაშვილი

საქართველოს რადიოკომიტეტმა გადასწყვიტა აამაღლოს მუსიკალურ გადაცემათა ხარისხი და ამ მიზნით მიიღო მთელი რიგი ღონისძიებები. უკვე მოხდა სიმფონიური ორკესტრის რეორგანიზაცია, ორკესტრანტთა რიცხვი 30-დან გადიდებულ იქნა 48 კაცამდე, ორკესტრის მთავარ დირიჟორად მიწვეულია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კომპ. შ. აზმაიფარაშვილი.

ცალკე კონცერტებს დირიჟორობას გაუწევენ ო. დიმიტრიადი, შ. თაქთაქიშვილი, ვ. ფალიაშვილი, ვ. ბარნაბელი, მ. ბორჩხაძე და მ. ბუხბინდერი.

თელავის რაიონული გუნდის კონცერტები თბილისში

ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლისა და საქფილარმონიის გამოწვევით ამ დღეებში თბილისში ჩამოვა და საზაფხულო ესტრადებზე კონცერტებს გამართავს თელავის რაიონული გუნდი ფირუზ მასათელაშვილის ხელმძღვანელობით. გუნდის პროგრამაშია ქართლ-კახეთის ხალხური სიმღერები და ცეკვები.

შემოქმედებითი დისკუსია დოკუმენტური კინოს გარშემო

ივლისის ბოლო რიცხვებში მოსკოვის კინოსახლში გაიმართა კინომუშაკთა შემოქმედებითი დისკუსია საბჭოთა დოკუმენტური კინემატოგრაფიის საკითხებზე. მოხსენება თემაზე „კინოქრონიკა სამამულო ომის დღეებში და მისი პერსპექტივები", — წაიკითხა კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ს. გერასიმოვმა. მოხსენების გარშემო გამართულ გაცხოველებულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ა. დოვჟენკომ, მ დონსკოიმ, ნ. კარამაზინსკიმ, ვ. ერდმანცკიმ ლ. ლაპკოვსკიმ და სხვებმა.

რეპინისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკები

საბჭოთა კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატმა დიდი რუსი მხატვრის რეპინის დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავად გამოუშვა საფოსტო მარკების ახალი სერია. სერია 5 მარკისაგან შესდგება, აქედან ორ მარკაზე დახატულია ი. ე. რეპინის ავტოპორტრეტი, დანარჩენ სამ მარკაზე გამოსახულია ფრაგმენტი სურათიდან — „ზაპოროჟიელები".

მხატვრული გამოფენა ქ. ორიოლის განთავისუფლების წლისთავის აღსანიშნავად

გერმანელ ფაშისტ დამპყრობელთაგან ქალაქ ორიოლის განთავისუფლების პირველი წლისთავის აღსანიშნავად ხელოვნების საქმეთა საოლქო განყოფილებამ და ორიოლის მხატვართა კავშირმა მოაწყო მხატვრული გამოფენა. გამოფენისათვის ორიოლელმა მხატვრებმა დახატეს სურათები, რომლებშიდაც ასახულია ბრძოლა ქალაქ ორიოლის განთავისუფლებისათვის და აგრეთვე ის გრანდიოზული მუშაობა, რაც ქალაქის აღდგენისათვის მიმდინარეობს.

სარედაქციო კოლეგია:
ო. ეგაძე, გ. ნატროშვილი (პ.-მგ. რედაქტორი), შ. რადიანი,
გ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, მ. ჭიაურელი.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 08079